40
1945/2

1945 * ნოემბერი * № 10

პროლეტარიებო ყველა ქვეყნისაა, შეერთდით!

ჭ.ი.ო.ნ.ე.რ.ი

საქ. ალკკ. ცენტრალური კომიტეტის
ჟურნალი-თვიური საბავშვო ჟურნალი

№ 10

1945 წ. ნოემბერი

წელიწადი მეჩვიდეტე

გამომცემლობა „კომუნისტი"

ПИОНЕРИ

№ 10

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ДЕТСКИЙ ЖУРНАЛ ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Издательство „Комунисти"

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი შაგელაშვილი

ნოემბრის შვიდი თენდება

როდესაც ჩვენს ქვეყანაში
ნოემბრის შვიდი თენდება,
პირველი თავისუფლების
დღეები გაგვახსენდება!
გრიგალი თავისუფლების
და ცეცხლის კორიანტელი,
ქვეყანა გაცისკრებული
ღიდი ლენინის ნათელით...
გაგვახსენდება გმირები
დაბადებულნი არწივად,
ვინც მტრების სისხლი დაღვარა
და ჩვენთვის თავი გასწირა.
ვინც მზის სხივებით შემოსა
ჩვენი სამშობლოს ტყეები,
ვინც ქოხებს მისცა მშვიდობა,
დალეწა სასახლეები...
მოგვაგონდება მათი ხმა
და ეაქკაცობის უნარი,
მათი უკნობი გვირგვინი,
დიდება გაუხუნარი.
ამხედრებული გმირების
ლაშქრობა მოგვეჩვენება,
თოვლით დაფარულ ველებზე
ხვალდახვალ გამოჩენება...
თავს დაგვადგება სხივებად
ირგვლივ სინათლის მფანტველი —
სტალინის ხელით აწვდილი
თავისუფლების კანდელი!

საბჭოთა სკოლის მოსწავლენო! კომკავშირელებო! პიონერებო! დაეუფლეთ ცოდნას, ემზადეთ იმისათვის, რომ გახდეთ მეჩარქოლნი ლენინ-სტალინის საქმისათვის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVIII წლისთავისათვის

1091

მაყვალა მრევლიშვილი

ჩემს სამშობლოს

არად ურღვევი, ხალხთა კავშირით
დიდების შუქით მოსილი ბრწყინავ,
მოძმე რუსეთის ხელით გაშლილი
ოქტომბრის დროშა მიგიძღვის წინა.

—.—

აყვავებულა შენი გულმკერდი
მრავალფერადი წალკოტის დარად,
ბელადს, ყრმობისას, ნანას უმღერდი, —
იმ წიაღს შენსას დიდება მარად.

—.—

საბჭოთა ქვეყნის თვალმარგალიტო,
გმირობით სავსე წარსული გშვენის,
გფიცავთ, სამშობლოვ, შრომით ვადიდოთ
სასიქადულო სახელი შენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
1
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევ ტოლსტოი

35 წლის წინათ გარდაიცვალა დიდი რუსი მწერალი ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი, რომლის შესახებ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი წერდა: „ლევ ტოლსტოიმ შესძლო თავის ნაშრომებში იმდენი დიდი საკითხის დაყენება, შესძლო ისეთ მხატვრულ ძლიერებამდე ამაღლება, რომ მისმა ნაწარმოებებმა ერთ-ერთი პირველი ადგილი დიაკავეს მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში“-ო.

ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი დაიბადა 1828 წლის 28 აგვისტოს ტულის გუბერნიის კრაპივნის მაზრის სოფელ იასნაია პოლიანაში.

ორი წლისა იყო ლევ ტოლსტოი, როდესაც დედა გარდაეცალა. ცხრა წლისამ კი მოულოდნელად დაჰკარგა მამა.

1841 წელს ტოლსტოის ოჯახი დროებით გადასახლდა ქალაქ ყაზანში. 1844 წელს ტოლსტოი შეეიდა ყაზანის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის თურქულ-არაბულ განყოფილებაზე, საიდანაც მალე იურიდიულ ფაკულტეტზე გადავიდა. ტოლსტოი მეტად ბეჯითი სტუდენტი იყო და განსაკუთრებული მონდომებით სწავლობდა ფილოსოფიას. მაშინდელი სწავლის წესებით უკმაყოფილო ტოლსტოიმ ორი წლის შემდეგ უნივერსიტეტს თავი დაანება და 1847 წელს დაბრუნდა იასნაია პოლიანაში.

ტოლსტოი კავკასიაში

1851 წელს 23 წლის ლევ ტოლსტოი კავკასიისაკენ გამოემგზავრა და თბილისს ჩამოვიდა. ამ დროს იგი სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა. ახალგაზრდა ტოლსტოიზე თბილისს სასიამოვნო შთაბეჭდილება მოუხდენია. „თბილისი ძალზე ცივილიზებული ქალაქია, ძალიან ჰგავაქვს პეტერბურგს. და კიდევაც აღწევს მიზანს. მასში საკმაოდ მრავალრიცხოვანი და რჩეული საზოგადოებაა. არის რუსული თეატრი და იტალიური ოპერა, რომლითაც მე ვსარგებლობ იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას მაძლევს ჩემი მცირე სახსრებიო“,—წერდა იგი თავის მამიდას ერგოლსკაიას.

თბილისში ჩამოსვლისთანავე შეუდგა ტოლსტოი შემოქმედებითს მუშაობას და დაასრულა თავისი მოთხრობა „ბავშვობა“, რომელიც 1852 წელს დაიბეჭდა რუსულ ჟურნალ „სოვრემენიკში“. აქ დაწერა მან კავკასიის თემაზე მოთხრობები „თავდასხმა“ და „ტყის ჭრა“ და დაიწყო მოთხრობა „კაზაკების“ წერა. კავკასიაში ყოფნის დროს ტოლსტოი, როგორც სამხედრო პირი მონაწილეობას იღებდა შამილთან წარმოებულ ომში. ამ პერიოდში გახდა იგი მოწმე შამილის თანამებრძოლის ჰაჯიმურატის ამბებისა, რაც მან თითქმის 50 წლის შემდეგ, 1903 წელს გამოაქვეყნა თავისი შესანიშნავი მოთხრობის „ჰაჯიმურატის“ სახით. ამ მოთხრობას ტოლსტოი შვიდ წელიწადს წერდა და მასში შეუდარებელი ოსტატობით მოგვცა თავისუფლებისმოყვარე მთიელის სახე.

პეტერბურგში

1854 წელს ლევ ტოლსტოი მონაწილეობას იღებდა სევასტოპოლის გმირულ დაცვაში, რაც მან უდიდესი ოსტატობით ასწერა ცნობილ „სევასტოპოლის მოთხრობებში“. სევასტოპოლის დაცემის შემდეგ, 1855 წელს, ახალგაზრდა ტოლსტოი პეტერბურგს (ახლანდელ ლენინგრადს) ჩავიდა და დაუახლოვდა დიდ რუს მწერლებს—ტურგენევს, ნეკრასოვს, გონჩაროვს, ჩერნიშევსკის და სხვას. პეტერბურგში ცხოვრების ეს პერიოდი მეტად

ნაყოფიერი აღმოჩნდა ტოლსტოისათვის. ეს, ერთი წლის მანძილზე, დაამთავრა მან მოთხრობები „სევასტოპოლი 1855 წლის აგვისტოში“, „ყორობა“; დაწერა მოთხრობები „ქორბუჭი“, „პატივაყრილი“, „ორი გუსარი“ და „შემამეულის დილა“. მკითხველთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია „შემამეულის დილამ“, რადგან რუსულ ლიტერატურაში ეს იყო პირველი მოთხრობა, რომელშიც შეუდარებელი რეალიზმით აისახა რუსი ყმა-გლეხის ტიპი.

საზღვარგარეთ

1856 წელს ტოლსტოიმ სამხედრო სამსახურს თავი დანებება და მალე საზღვარგარეთი გაეშგზავრა, სადაც მოიარა პარიზი, ჟენევა, ციურიხი, დრეზდენი, ბერლინი და ჩრდილოეთი იტალია. საზღვარგარეთ ყოფნის დროს ტოლსტოიმ დაწერა მოთხრობა „ლუცერნი“, რომელშიც სასტიკად აკრიტიკებს ევროპის ბურჟუაზიულ ცივილიზაციას. ნახევარი წელი მოგზაურობის შემდეგ ტოლსტოი სამშობლოში დაბრუნდა და ორი წლის მანძილზე დაწერა შესანიშნავი მოთხრობა „სიძი საკვდილი“, რომანი „ოჯახის ბედნიერება“, მოთხრობა „ალბერტი“ და განაგრძობდა მუშაობას „კაზაკებზე“.

1859 წელს ტოლსტოიმ იასნაია პოლიანაში მოაწყო სკოლა გლეხთა შვილებისათვის.

1860 წელს ტოლსტოი მეორედ გაემგზავრა საზღვარგარეთ. ამ მგზავრობის დროს ტოლსტოი უმთავრესად ეცნობოდა სწავლა-აღზრდის საქმეს. ევროპაში მიღებული ცოდნა-გამოცდილება მან შემდეგში ნაყოფიერად გამოიყენა იასნაია პოლიანის სკოლის ცხოვრებაში. პედაგოგიური საკითხებით გატაცებულმა ტოლსტოიმ 1862 წელს დაიარსა პედაგოგიური ჟურნალი „იასნაია პოლიანა“, რომელშიც ქადაგებდა თავის შეხედულებებს სწავლა-აღზრდის საკითხებზე.

ტოლსტოის უკანასკნელი ნაწარმოებები

1863 წელს, ესე იგი ათი წლის მუშაობის შემდეგ, ტოლსტოიმ გამოაქვეყნა მოთხრობა „კაზაკები“, რომელიც მის ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთი ყველაზე პოეტური ქმნილებაა.

1863 წელი განსაკუთრებული მნიშვნელობის თარიღია ტოლსტოის ცხოვრებაში, რადგან ამ დროს დაიწყო მან მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უშესანიშნავესი ნაწარმოების „ომი და მშვიდობა“-ს წერა. როგორც თვით ტოლსტოი ამბობდა, მან ამ რომანს მოანდომა ექვსი წელი „შეუწყვეტელი და განსაკუთრებული შრომისა, ცხოვრების საუკეთესო პირობებში“. ეს მანძილ მთავარი გმირია დიდი რუსი ხალხი, რომელიც თავგანწირვით იბრძვის ნაპოლეონის წინააღმდეგ, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ამ ხანებში ტოლსტოი ისევ განაგრძობს მუშაობას თავის თავზე და 1870 წელს, 42 წლის ასაკში, ენერგიული შრომის შედეგად სამ თვეში ეუფლება ბერძნულ ენას ისე, რომ დედაენაში კითხულობდა ძველ ბერძენთა ფილოსოფოს პლატონის და ისტორიკოს ქსენოფონტეს ნაწარმოებებს, ჰომეროსის შესანიშნავ პოემებს „ილიადასა“ და „ოდისეას“. ამავე დროს ტოლსტოი მუშაობდა რუსული „აბბანის“ წიგნის შედგენაზე, რომელიც პირველად 1872 წელს გამოიცა. ეს „აბანანი“, ოთხ წიგნად გამოცემული, 700-800-გვერდიანი უზარმაზარი სახელმძღვანელოა, რომელიც შეიცავს სწავლების მეთოდებსა და მრავალ მოთხრობას. ოთხ წელიწადს დაადაუღლად მუშაობდა ტოლსტოი ამ „აბანაზე“ და დიდად ამაყობდა ამით, რადგან, მისი აზრით „პატარა ზღაპრის თუ სიმღერის შეთხზვა, პატარა სურათის დახატვა, რომელიც გულს გაუხარებს მილიონობით ბავშვს თუ მოზრდილს, უფრო მნიშვნელოვანია—და უფრო ძნელი—ვიდრე რომანის ან სიმფონიის დაწერა“. ეს ოთხ წიგნი სოფლის ბავშვებისათვის მიღებულ იქნა ყველა რუსულ სკოლაში, როგორც საკითხავი წიგნები. მათზე იზრდებოდა და სწავლობდა ათასობითი ადამიანი. უბრალო გლეხკაცობაში ტოლსტოის სახელი გაგებეული იყო „წიგნის“ ცნებასთან. ზმირად რომელიმე გლეხი-ბიჭუნა შედიოდა ხოლმე სამკითხველოში და ვულუბრყვილოდ მოითხოვდა: „მომეკინი კარგი წიგნი, ტოლსტოისა (ბიჭუნას უნდოდა ეთქვა „ტოლსტაია“—სქელტანიანი).

1873 წელს ტოლსტოი ჩაუჯდა მეორე თავის დიდ რომანს—„ანა კარენინას“, რომელსაც ოთხ წელიწადს წერდა და რომელიც ასახავს XIX საუკუნის რუსეთის ცხოვრების მთელ ეპოქას.

1879 წელს ტოლსტოიმ გამოაქვეყნა თავისი „აღსარება“, რომელშიც ნათლად დაგვიხატა თავისი შეხედულებანი ადამიანის ცხოვრებაზე. 80-ან წლებში დაწერა ტოლსტოიმ წიგნები: „რა არის ჩემი რწმენა?“ და „რა ვაკეთოთ?“, რომლებშიც იგი აკრიტიკებდა მეფის რუსეთის სახელმწიფო წყობილებას, ებრძოდა იმ დროს გამეფებულ საზოგადოებრივ უსამართლობას და მის დამცველ ოფიციალურ რელიგიას. ამის გამო ეს წიგნები მეფის მთავრობამ აკრძალა. აღსანიშნავია, რომ

რელიგიის საკითხებზე მუშაობის დროს ტოლსტოის დასჭირდა ცოდნა ძველი ებრაული ენისა, რაც მან, 56 წლის მოხუცმა, განსაკუთრებული შრომისმოყვარეობის გამო ადვილად შეისწავლა.

1886 წელს დაწერა ტოლსტოიმ დრამა „ბიბნელის ძალნუნებში“ („Власть тьмы“), რომელშიც ნაჩვენებია მეფის რუსეთის ჩამორჩენილი სოფლის ცხოვრება. 1889 წელს გამოაქვეყნა ტოლსტოიმ მეორე დრამატიული ნაწარმოები „განათლების ნაყოფი“, რომელიც ასახავს მდიდართა უქმ, ფუქსავატ ცხოვრებას. ამავე დროს ტოლსტოიმ დაიწყო მესამე დიდი რომანი, რომელსაც „აღდგომა“ ეწოდება. ამ რომანში ტოლსტოიმ დაუზოგავად ამხილა ძველი რუსეთის სასამართლო, ეკლესია, ბიუროკრატია, თვითმპყრობელური სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილება. ყველა ამის გამო ოფიციალურმა ეკლესიამ ტოლსტოი 1901 წელს შერისხა, განდევნა.

ტოლსტოის ქართველი მეგობრები

80-იან წლებს ეკუთვნის ლევ ტოლსტოის დაახლოება მოსკოვში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებთან (ალექსანდრე დიასამიძე, ვახტანგ ღამბაშიძე და სხვ.), რომლებიც დიდ მწერალს ახლო აცნობდნენ საქართველოს ცხოვრებას.

ამ პერიოდში ლევ ტოლსტოი იღებდა მრავალ წერილს, რომლებშიც სხვადასხვა პირი სთხოვდა რჩევა-დარიგებას ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ერთი ასეთი შეკითხვა 1887 წელს თბილისიდანაც გაუგზავნიათ მისთვის უცნობ ქალიშვილებს. ტოლსტოიმ შეკითხვაზე უპასუხა წერილით, რომელიც 1887 წლის 12 მარტს დაიბეჭდა თბილისის გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე“-ში.

90-იან წლებში ტოლსტოის საქართველოში გაუჩნია თანამოაზრენი—მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია პეტრეს-ძე ნაკაშიძე და პოლკოვნიკი გიორგი ალექსანდრეს-ძე დადიანი, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის შვილიშვილი. ილია ნაკაშიძე 90-იან წლებში მოსკოვს ჩავდა და აქ დაუახლოვდა ტოლსტოის. მალე მასთან მოსკოვში საცხოვრებლად გაემგზავრა მისი მეუღლე ნინო ნაკაშიძე. ამ ხნიდან იწყება ახლო მეგობრობა ლევ ტოლსტოისა და ილია ნაკაშიძის ოჯახებს შორის. ნაკაშიძეები ხშირი სტუმრები იყვნენ დიდი რუსი მწერლისა. ტოლსტოიც ნამდვილი მეგობრის უბრალოებით ესტუმრებოდა ნაკაშიძეებს, რომლებთანაც ხანგრძლივად რჩებოდა და მაასობდა ლიტერატურის, ხელოვნების, საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე.

ერთხელ, ასეთი სტუმრობის დროს, მევრი უბაასნიათ ქართულ მწერლობაზე. ილია ნაკაშიძეს ტოლსტოისათვის უამბნია „ვეფხის ტყაოსნის“ შინაარსი და უკვდავი პოემის სახალხო გამოცემის ცალი უჩვენებია მისთვის. ლევ ტოლსტოი პოემის შინაარსს აღტაცებაში მოუყვანია, მისთვის მაღალი შეფასება მოუცია და დიდნის გაკრთნია სურვილი გამოუთქვამს.

მოსკოვში ყოფნის დროს ილია ნაკაშიძე ეხმარებოდა ლევ ტოლსტოის მოთხრობა „ჰაჯი-მურატისათვის“ საჭირო მასალების შეგროვებაში.

გარდა ილია ნაკაშიძისა ჰაჯი-მურატის შესახებ მასალების შეგროვებაში ტოლსტოისათვის დიდი დახმარება გაუწევია თბილისიდან ისტორიკოს ესადეს.

ტოლსტოი და 1905 წლის რევოლუცია

ლევ ტოლსტოი მეფის მთავრობის სასტიკი მტერი და მშრომელთა დიდი მეგობარი იყო. ამიტომ იგი დიდი აღტაცებით შეეგება 1905 წლის რევოლუციას და ღრმა ინტერესი გამოიჩინა საქართველოს, კერძოდ გურიის რევოლუციური მოძრაობის მიმართ, რაც ამომწურავად გამოხატა გურულებისათვის გაგზავნილ თავის ცნობილ წერილში.

1905 წლის რევოლუციის დროებითი დამარცხების შემდეგ დაწყებული მკაცრი რეაქცია, რევოლუციონერთა დევნა, წამება, ჩამოხრჩობა — ტოლსტოის უაღრესად აღშფოთებდა და მეფის მთავრობის მიერ 20 გლეხისათვის სიკვდილით დასჯის გაგაჩენის გამოტანის გამო დაწერა სტატია — „არ შეშინდნა გავიზმდე!“,—რომელიც წარმოადგენდა მრისხანე პროტესტს, მიმართულს მეფის მთავრობის სისხლიანი ტერორის წინააღმდეგ.

* * *

ამის შემდეგ დიდმა რუსმა მწერალმა კიდევ ორიოდე წელს იცოცხლა. 1910 წლის 30 ოქტომბერს ლევ ტოლსტოი იასნაია პოლიანიდან გაემგზავრა, გზაში გაცივდა და 1910 წლის 7 ნოემბერს, 82 წლის ასაკში, ფილტვების ანთებისაგან გარდაიცვალა რკინიგზის პატარა სადგურის, ასტაპოვოს (ახლა „ლევ ტოლსტოი“) უფროსის სახლში.

ლევ ტოლსტოი დაკრძალულია იასნაია პოლიანაში, იმ ადგილს, რომელიც მან ჯერ კიდევ სიცოცხლეში აირჩია.

ᲙᲠᲝᲚᲘᲜᲝ ᲥᲝᲠᲥᲘᲐ

ნახატები Გ. ᲨᲐᲠᲘᲫᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ორცხობილა

(ნამდვილი ამბავი)

ვიქტორ არხაროვი და დედამისი მთელი ზაძირის განმავლობაში ინახავდნენ დაჭრილ წითელარმიელს. გაზაფხულზე, როცა ჭრილობამ პირი შეიკრა და ბუნებამ ძველი ფარჩა მოისხა, წითელარმიელი გაპარვის სამზადისს შეუდგა. სწორედ ამ დროს გერმანელებს დასძენა მოუვიდათ, სოფელში წითელარმიელი იმალებაო. დაიწყეს ჩხრეკა. ისე გულდასმით ჩხრეკდნენ, ყუთებშიც კი ძვრებოდნენ, სადაც არამცთუ კაცი, კატა ვერ ჩაეტეოდა.

არხაროვებისას საგონებელში ჩავარდნენ. ვერაფერი მოისაზრეს. ბოლოს ასე გადაწყვიტეს, თუ საღამომდე არ მოვიდოდნენ გერმანელები, დაჭრილი საღამოს ცდიდა გაპარვას. ვიქტორი დიდხანს იჯდა ჩაფიქრებული. ბოლოს, ეტყობოდა, რაღაც მოიაზრა.

— დედა, ორცხობილა მომეცი, ბევრი ორცხობილა! — უთხრა ვიქტორმა დედას. —მე ვეცდები გავაპარო ჩვენი დაჭრილი.

— როგორ გააპარებ, შვილო? ყველგან გუშაგები დგანან, — გაუკვირდა დედას.

— ის მე ვიცი... შენ ორცხობილა მომეცი. ბევრი ორცხობილა.

როცა ორცხობილათი უბე გაივსო, ვიქტორი მიუბრუნდა დაჭრილს:

— შენ ბოსტან-ბოსტან გაიარე ხევის პირამდე. იქ ბილიკი მისდევს ხევისპირს, სადაც მაღალი ჩადუნათია დაფარული არემარე. თუ ხევში ჩახველი, ფერე არა გიშავს.

— უი, შვილო! — შეჰკივლა დედამ. — იქ ხომ გუშაგი დგას?

— ვიცი. სწორედ მაგ გუშაგის მოტყუებაა საჭირო, — უპასუხა ვიქტორმა.

* * *

სოფლის ბოლოს, ხევის პირას, სადაც მაღალ ჩადუნას გარემო დაეფარა, გერმანელი გუშაგი იდგა. ის დადიოდა წინ და უკან დიხჯად, ძძიმედ, ოთხი ნაბიჯი წინ,— ოთხი უკან. დადიოდა და გაჰყურებდა გზას, ჩადუნიანისაკენ მიმავალ ბილიკს, ძხისსხვებში გახვეულ სოფელს, საიდანაც ჩქამი არ ისმოდა, ძხოლოდ ჩიტების ეღერტული არღვევდა იმ სამარისებურ სიჩუმეს, გერმანელებმა რომ დაამყარეს ამ სოფელში.

უცებ გუშაგმა თვალი მოჰკრა: შეირხა ჩადუნას რიგი. ცოტაც და პატარა ბიჭი დიდის სიფრთხილით გადმოძვრა ბოსტნიდან, მიიხედ-მოიხედა და ფეხაკრეფით გაემართა ხისკენ. ჩამოჯდა ხის ძირას, უბიდან ორცხობილები ამოალაგა და ჭამას შეუდგა.

— ალბათ, დედამისს მოჰპარა მაგ მსუნაგმა, — გაიფიქრა გუშაგმა და მიიხედ-მოიხედა: ხომ არავინ მიყურებსო. როცა დარწმუნდა, რომ მარტონი იყვნენ, ხელით ანიშნა ბიჭს ორცხობილა მომეციო.

ვიქტორმა თითქოს ახლა შენიშნა გუშაგი, — ორცხობილები აკრიფა და წასვლა დაუპირა. გუშაგმა ხელით ანიშნა, არ გაიქცე, მე სამტროდ არ მოვდივარო.

ვიქტორმა ერთი ორცხობილა ესროლა გუშაგს და ხეს ამოეფარა. გუშაგმა ორცხობილა დაიჭირა, ჭამა დაიწყო — ეგემრიელა. კიდევ ანიშნა მომეციო. მაგრამ ვიქტორმა უარის ნიშნად თავი გააქნია. გუშაგმა თოფი დაუდირა. ვიქტორმა გაიცინა და ისევ თავი დაუქნია. მიახვედრა: ვიცი, მაშინებ, გუშაგს უბრალოდ თოფის სროლა არ შეუძლიაო. მაშინ გუშაგმა ბრუნვიალა დანა ამოიღო ჯიბიდან და ანიშნა: ამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგცემო. ვიქტორი ერთ ხანს ჩაფიქრდა. გადათვალა თავისი ორცხობილები. დიდ-ხანს ითვლიდა, რომ მეტი დრო გასულიყო. გუშაგს ნერწყვი ძოადგა პირზე და მოუსვენრობა დაეტყო. ვიქტორმა კვლავ თითებით ანიშნა: დანა მიწაზე დასდე. უკან დაიხიე, მე დანას ავიღებ და ორცხობილას დავდებო. გუშაგიც აარე მოიქცა. ვიქტორი დიდ-ხანს აწყობდა დანის ადგილს ორცხობილებს.

როცა უკანასკნელი ორცხობილა დასდო, ვიქტორმა დანა აიღო, დააკვირდა და თავი გააქნია. თითქოს უნდოდა ეთქვა: ამას როგორ უნდაო გახსნა? გუშაგი მიუახლოვდა, ორცხობილები ჯიბეში ჩაიტენა და დანის ბოლოს ცერი დააჭირა. დანის პირი ტკაცუნით ავარდა.

— უჰ! — გულ-წრფელად შეჰყვირა ვიქტორმა.

ასეთი დანა მას ჯერ არ ენახა და მადლობის ნიშნად თავი დაუქნია გუშაგს. შემდეგ სთხოვა — ისევ მაჩვენეო.

გუშაგმა აჩვენა. ვიქტორმა სცადა რამ-დენჯერმე თვითონ გაეტკაცუნებინა დანა. განგებ იშლიდა ხელს, რომ მეტი დრო გასულიყო. ბოლოს, მობეზრდა გუშაგს: ეგ რა სულელი ბიჭი ყოფილაო, ჩაიდო ჯიბეში დანა და საგუშაგოსკენ გასწია.

— მომატყუე? — დაიყვირა ვიქტორმა და ეცა გუშაგს. — ორცხობილები, ჩემი ორცხობილები...

ვიქტორი ისე ყვიროდა, თითქოს დანა გაუყარესო ყელში. გუშაგს გაეცინა. ვიქ-ტორმა უმატა ღრიალს. გუშაგი მობრუნდა. ვიქტორი ისე უცნაურად ღრიალებდა, რომ გუშაგს გულიანად გაეცინა. გაგიხარია, რომ ვიქტორიც გადაიხარხარებდა, მაგრამ მას ერთი საზრუნავი ჰქონდა: დაკრილი წი-თელარმიელი სამშვიდობოს გასულიყო. — ამიტომ იდგა გუშაგის წინ, გამოლანძღავდ-

ლი სახე მიეღო და ღრიალებდა:

— ორ...ცხო...ცხო...ბილა...ბილა...

— ორ ცხო...ცხო...ცხო...ხა..ხა..ხაა... — გადაიხარხარა გუშაგმა.

უცებ, შორს, ერთი ყრუ გასროლა მოისმა. ეს იყო ნიშანი, რომ წითელარმიელი სამშვიდობოს გავიდა. როგორც კი ეს ნიშანი გაიგონა, ვიქტორმა ღრიალი შესწყვიტა და გერმანელს გამოსაჯავრებლად უთ-ხრა:

— ორ ცხო...ცხო...ცხო...ბილა... ხა..ხა...-ხა...:

— რა სულელი ბიჭია? — იცინოდა გერ-მანელი.

— რა სულელი გუშაგია? — იცინოდა ვიქტორიც.

ნახატები მ. ბოსტანეთისა

სუფიქსური

მზეწვიას ეძახდნენ გიორგის ამხანაგები, რაკი სიმღერა ძლიერ უყვარდა პატარა ტანის ბიჭს, თუმცა ხნითაც პატარა იყო. ცამეტი წლის ბიჭუნა მეტად ცოცხალი, გულჩვილი და დაუდეგარი რამ იყო, აი ახლაც ამხანაგებს არ დაეთანხმა, საღამოშდე რა მოძათმენინებსო, გულს გავილო გიორგიმ და გაკვეთილების შემდეგ ხელად გასხლტა სკოლიდან, გიორგიმ დადმარი ჩაირბინა, ხევს გავიდა და. ავადმყოფ მასწავლებლის ეზოსთან რომ მიაღწია, რაღაც მოკრძალება და გაუბედობა იგრძნო. ცოტა ხანს ეზოს კარებთან იდგა იღლიაში ჩანთაამოჩრილი გიორგი და მოუსვენრად ტორტმანებდა. რაკი აივანზე ვერავინ შენიშნა, ეუბნა დაებადა: იქნებ მართლა მისი ნახვა ახლა არ შეიძლება, იქნებ შევაწუხო და უხერხული იყოსო,—გაიფიქრა გიორგიმ, და ის იყო უკანვე უნდა გაბრუნებულიყო, რომ ალმართის ბილიკიდან ფეხის ხმა მოესმა. გიორგიმ გაიზიდა და სახე აელანძა: თავისი სკოლის ერთ-ერთი მასწავლებელი ვიღაც მაღალ კაცს მდუმარედ მოჰყვებოდა. ორივეს დაფიქრებული სახე ჰქონდა. გიორგის გული შეეკუშშა.

— აქ რას აკეთებ?! მოახლოვებისას ჰკითხა მასწავლებელმა გიორგის და ცოტა ხანს მის წინ გაჩერდა.

— ჩვენი მასწავლებლის ნახვა მინდოდა და...—მოკრძალებული ხმით უთხრა გიორგიმ და თავი ჩალუნა.

— მერედა აქ რას გაჩერებულხარ? აქედან ხომ ვერ დაინახავ, შე კაი კაცო? აბა წამოგვყე და ერთად ვნახოთ.

გიორგი უკან აედევნა. ეზო რომ გაიარეს და ფერეფანში შევიდნენ, მასწავლებელი ბავშვს მოუბრუნდა და უთხრა:

— ცოტა ხანს აქ მოიცადე, ჯერ ექიმი გასინჯავს და მერე დაგიახლებო,—ამ სიტყვებით მან კარი ფრთხილად შეაღო, წინ ექიმი შეუშვა და ისევ მოხურა.

კარებთან გაჩერებულ ბიჭს გული ისე აუთქეფრდა, რომ ყურებში დაკრულ დოლის ხმად ურაკრაკებდა. წუთები საათებად ეჩვენებოდა, ავადმყოფ მასწავლებლის ნახვა ისე ეჩქარებოდა.

— აბა მობრძანდი, გიორგი! ილიამ უკვე იცის, რომ მის სანახავად ხარ მოსული, მაგრამ დიდხანს არ გაჩერდე, ძლიერ სუსტად არის.

გაღებულ კარებში ფეხაკრეფით შევიდა თუ არა გიორგი, გულმა უფრო მძლავრად შემოჰკრა.

მისი საყვარელი მასწავლებელი გულალმა იწვა. გიორგის შემოსვლაზე ავადმყოფმა სახე კარებისაკენ მოიბრუნა და ოდნავ გაღიმებულმა მისუსტებული ხმით მიმართა:

— გამარჯობა, ჩემო გიორგი... გულმა ვერ მოგითმინა და მნახე... მოდი ახლო... აი აქ სკამზე ჩამოჯექ!—ნაწყვეტ-ნაწყვეტად უთხრა ავადმყოფმა და სკამი თვალებით უჩვენა. გიორგი ცალი გვერდით ჩამოჯდა და, მასწავლებელი უფრო კარგად რომ შეათვალიერა, ძორიდებული ღიმილი უმალ ჩამოეცალა.

— ვაიმე, დედა! ნუ თუ ეს ჩვენი მასწავლებელია! როგორ გამხდარა, თვალები ჩასცვივნია, სახეზე მკვდრის ფერი ადევს.—შიშით გულს გაივლო ბიჭმა.

— ხომ კარგად ხართ ყველანი, ხომ არ ზარმაცობთ, არ ცელქობთ?!—ისევ წყნარი ხმით ჰკითხა ავადმყოფმა.

— არა, მასწავლებელო! რაც თქვენ ავად ბრძანდებით, უფრო კარგად იქცევიან.—ისეთი წრფელი გრძნობით სთქვა გიორგიმ, თითქოს ამ ამბით შედავათი უნდა ეგრძნობინებინა საყვარელ მასწავლებლისთვის.

გიორგის თვის ხმაზე გული უფრო აუჩუყდა.

— ჰო, მართალია, ილია, შენი კლასი ისე კარგად იქცევა, რომ მთელი სკოლის მაგალითად შეიქნა, მაგრამ შენ ლაპარაკით ნუღარ დაიღლები, გიორგისაც ეყოფა შენთან ბაასი. აბა, ძმაო, —მიმართა მან გიორგის,—ილიას მაგივრად ყველას სალამი გადაეცი და...—გიორგი სწრაფად წამოდგა. ავადმყოფმა თანხმობის ნიშნად თავი ოდნავ შეარხია და მისუსტებულმა წუთით თვალები დახუჭა. ბიჭმა რომ თვალებდახუჭულ მასწავლებელს ხელმეორედ დახედა, ტანში ქრუანტელმა დაურბინა.

— მშვიდობით, მასწავლებელო,—ჩაბარდნილი ხმით წარმოსთქვა გიორგიმ და ფრთხილად გაალო კარები.

— საშუხაროდ, სულფიდინი ჩვენს აფთიაქში სწორედ ახლახან გამოლეულა და თუ სასწრაფოდ არ იშოვეთ... ძლიერ მძიმე მდგომარეობაშია ავადმყოფი.

ასეთ ლაპარაკს მოჰკრა ყური გიორგიმ, როცა დერეფანში გამოვიდა. ნაბიჯი მეტად დაამძიმა და სმენა გიმახვილა.

— დღეს რაღა იქნება. გორში მანქანა უკვე წასულია, ცხენს თუ ვიქირაებ და სკოლის დარაჯს გავგზავნი, მაგრამ ვინ იცის როდის დაბრუნდება.—დაღვრემილი კოლოთი უპასუხა ექიმს მეორემ. ამ სიტყვებს ყური მოჰკრა თუ არა გიორგიმ, უცებ რაღაც აზრმა გაუელვა, სწრაფად კიბეზე ჩამოირბინა და ეზოს იქით გაჩერდა.

— უკაცრავად, მასწავლებელო, აჰ, არა, ბატონო ექიმო,—ხელეწნთ დაედევნა ეზოს გარეთ გასულ ექიმს გიორგი.

— მითხარით, რით შეიძლება [illegible] როგორ მასწავლებელს... იგი ისეთი [illegible] ყოფილა...—გიორგის ხმა ჩაეხლინა, სიტყვა შეუწყდა გრძნობამორეულს.

— ექიმმა თანაგრძნობის ღიმილმა სახე გაუშუქა.

— განა ეგრე ძლიერ გიყვარს შენი მასწავლებელი?! აი ყოჩაღ, ძლიერ კარგია და საქები, მაგრამ შენ აქ რას გააწყობ?! მაგას ახლა ისეთი წამალი სჭირდება, რომელიც ამჟამად აქ არ მოიპოვება.

— მითხარით რა ჰქვია იმ წამალს... კვლავ შეეხვეწა ექიმს გიორგი.



ვაიმე, დედა! ნუ თუ ეს ჩვენი მასწავლებელია! როგორ გამხდარა, თვალები ჩასცვივნია, სახეზე მკვდრის ფერი ადევს,—შიშით გულს გაივლო ბიჭმა.

— რა ჰქვია და სულფიდინი. ეს ახალი საშუალება მეტად კარგ შედეგს იძლევა ფილტვების ანთების დროს, გაიგე?!

— დიახ, გავიგე, გმადლობთ.—დაფიქრებით უპასუხა ბიჭმა, მერე უცებ ადგილიდან მოსწყდა და სერზე მდგომი სახლისაკენ მოკკურცხლა.

— სულფიდინი, სულფიდინი, სულფიდინი,—გზადაგზა იმეორებდა გიორგი, რომ წამლის სახელი არ დავიწყებოდა, სერზე რომ ავიდა, ჩანთიდან რვეული ამოიღო, მუხლზე დაიდო და ჩაიწერა, შემდეგ ღობით შემოფარგლულ სახლთან მიირბინა და ხმამაღლა შესძახა:

— შაქრო, ჰაი შაქრო! ეზოდან ხმა არავინ გასცა.—ალბათ, ეენახში თუ არიან წასული, შაქროც სკოლიდან ჯერ არ დაბრუნებულა, და რადა ვქნა? სანამ სკოლაში მივალ, სანამ უკანვე დავბრუნდები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგვიანდება,—გაიფიქრა ბიჭმა და წუთიც აღარ დაუყოვნებია: დარაბიდან ხელი შეყო, შიგნიდან გადარაზული კარი გააღო და ჯიხურისაკენ გაეპანა. ეს ჯიხური შაქროს საზაფხულო სადგომი იყო. განცალკევებით უყვარდა შაქროს მეცადინეობა და სახლივით მოწნული ჯიხური თავის გემოვნებაზე ჰქონდა დალაგებული: მაგიდა წიგნებით, ერთი სკამი და მცირეოდენი სავარჯიშო ხელსაწყო.

გიორგიმ ჭუჭრუტანიდან შეიხედა, სიხარულით ფამოძახა: აქ არის, აქ! კიდევ კარგი არავისთვის არ უთხოვებია. გიორგის ხშირად უმეცადინია შაქროსთან ერთად, ჯიხურის კარის გაღება და გასაღების შესანახი ადგილიც კარგად იცოდა. ბიჭმა ხელი ჯიხურის საზურავისაკენ ასწია, იქ დამალული რკინის კაუჭა გადმოიღო, ურდულს გასწია და კარი სულ ადვილად გააღო. მარჯვენა კედელთან მიყუდებულ, ტილოგადაფარებულ ველოსიპედს ეცა. ტილო გადააძრო, სკამზე დასდო და თვითონ მაგიდას მიუბრუნდა. კალმი სწრაფად აწრიპინდა მყუდროებაში.

— შაქრო, არ შეგეშინდეს და არ გაჯავრდე, შენი ველოსიპედით გორში მივდივარ მასწავლებლის წამლისათვის, სკოლაში ეეღარ ამოვრბინე, ძლიერ შეჩქარება... გიორგი.

გიორგიმ თავისი ჩანთა საბუთად იქვე მაგიდაზე დასდო, ველოსიპედი გამოიტანა, ეზოს კარები ჩაკეტა და მოუსვა.

გორახიან გზებზე გიორგის ველოსიპედი ანჯღრევედა, მაგრამ იგი არაფერს იმჩნევდა. ორღობეებში ძაღლები გამოდევნენ, ფეხებთან დაერენილი ბილებით ეტანებოდნენ. არც ამათთვის მიუქცევია ყურადღება, ფოსტის გზისაკენ ესწრაფებოდა, თვალები სულ წინ ჰქონდა მიპყრობილი. აგერ ფოსტის გზაც. ველოსიპედის თვლები შესრიალდნენ გატეკეილ გზაზე. შურდულივით გაუტია გიორგიმ. ნახევარი საათის შემდეგ ბიჭს ხვიფი გადასდიოდა, მაგრამ ოფლს მოსაწმენდად როდი ეცალა, საცაა გორს მიაღწევდა: გორის ციხე, გალავნიანი ქედი უკვე ამაყად აღმართულიყო მის თვალწინ.

* * *

ესეც გორი. გიორგიმ ყაზარმებს ჩაუქროლა, თავქვე დაეშვა და ხელად ფართო ქუჩაზე სტალინის სახლთან გაჩნდა. იმ დღეს თითქოს მთელი ქვეყანა დაძრულიყო და უცხო ხალხი სტალინის სახლის სანახავად ფართო ქუჩაზე მდინარესავით მოდიოდა. გიორგის მათი ცქერით ბარემ კისერი მოეღრიცა, მაგრამ მაინც არ შეჩერებულა; ბიჭს მოვალეობა აწუხებდა და ველოსიპედს მიაქროლებდა. სტალინის სახლიდან მიმავალთა შორის მან უზბეკი, ჩინელი, ესკიმოსიც კი შეამჩნია. ამ ხალხს იგი სურათებიდან და წიგნების საშუალებით კარგად იცნობდა, ბარემ მათი ახლო ნახვის სურვილით კბილები აუკაწკაწდა. მაგრამ მაინც არ გაჩერებულა, მხოლოდ სწრაფი სვლა შეაჩერა, რომ ხალხის ჭრელი ტალღა გაეტარებინა და ამ ნელ სიარულში თვალებს ხარბად აცეცებდა, რომ ყველაფერი კარგად დაეხსომებინა.

ხალხის ტალღა რომ გადნა, თავისუფალ გზატეკილზე გიორგიმ უფრო სწრაფად გააქროლა ველოსიპედი და სამი წუთის შემდეგ აფთიაქის წინ გაჩერდა. იგი ჩამოხტა ველოსიპედიდან, ველოსიპედი კარებს მიაყუდა და წამლის სუნი რომ ეცა—უცებ ხელი თმებში იტაცა:

— ვაიმე ჩემი რვეულები... ჩანთაში ჩამრჩა. წამლის სახელი ზედ მეწერა, და აღელვებულმა ბიჭმა უბეში ხელი ჩაიყო,—ფულიაქა მაქვს, ჩემი რვეულების ფული და... მაგრამ არა უშავს რა, წამლის სახელიც მახსოვს ჩვენი მოწაფის გვარს ჰგავდა. ჰო, მომაგონდა, მომაგონდა!—გული დაიმშვიდა გიორგიმ და დაზგასთან მდგომ გრძელწვერა პროვიზორთან გაბედულად მიიჭრა.

— ძია, სულინაური მინდა, ხომ გაქვთ სულინაური?!



პროვიზორი რაღაცას სწერდა. ბიჭის აღელვებული ხმა რომ შეესმა, სათვალის ზემოთ გამოხედა და დინჯად ჰკითხა:

— რაო, რა გინდა?!

— სულინაური, ძია, სულინაური.

— რა არის, ბიჭო, სულინაური?

— წამალია, მასწავლებელი გვყავს ძლიერ ავად და ჩქარა უნდა მივაშველოთ.

— სულინაური?!... ეგეთი წამალი მე არ ვიცი. შენ, ძაძია, სხვა რაღაც გინდა, — დამშვიდებული კილოთი უთხრა პროვიზორმა და კალამს ხელი ისევ წაავლო. ბიჭი მოუთმენლობამ და მღელვარებამ მთლად ააფორიაქა.

— წამალია, როგორ არა, წამალია! ფილტვების ანთებას თურმე ძლიერ შველის. ექიმმა ასე სთქვა. ჩვენს სოფელში რაკი არ იყო ხახეთარ საათში ჩამოველ, რომ ისევ ჩქარა ველოსიპედით გავიქცეძია, შენი ჭირიმე, ჩქარა თორემ... ცოტამლმორევით შეეხვეწა ბიჭი...

— ჰოო.. . სულინაური კი არა, ბიჭო, შენ, ალბათ, სულფიდინი გინდა, არა?! გიორგი აეხთო. შერცხვა და იმანაც გაიცინა დატანჯული სახით.

— ბარემ ჩავიწერე, მაგრამ რვეული სიჩქარით შინ დამრჩა. ინაური ჩემი ამხანაგია, იმას ფიდო ჰქვია და სახელის მაგვარად გვარი გამახსენდა და სულინაური იმიტომ გითხრით... დარცხვენით ბუტბუტებდა გიორგი.

— კი, მაგრამ ეს წამალი ურეცეპტოდ არ გაიცემა, რეცეპტი თუ გაქვს?! გიორგის თავზარი დაეცა. სანეზე ხვითმცა გადაჰკრა, თვალებში ისეთი გულწრფელი მწუხარება აღებეჭდა, რომ პროვიზორმა სახე აარიდა.

— ძია, შენი ჭირიმე, მაშ რა ვქნა?! იქნებ როგორმე...

— არა,შვილო, ტყუილად დროს ნუ ჰკარგავ.—დინჯად უთხრა პროვიზორმა — ურეცეპტოდ უფლება არა მაქვს მაგ წამლის გაცემისა და აბა მე რა გიყო! ისეთი კილოთი მოუჭრა სიტყვა, რომ გიორგი რეტდასხმულივით გამოტრიალდა, ველოსიპედს მოაჯდა და მძიმედ დაიძრა.

— ახ, ეს რა მომივიდა, თქვენი ჭირიმე, სადღა წავიდე, ვის მივმართო? მეგონა ქინაქინასავით ურეკეპტოდ გაიცემა მეთქი და... ეხ, კაიმე, ჩვენო ილია, რა კაცი ვარ მე, თუ ამითაც ვერ დაგეხმარებოდი. — ჯავრობდა გიორგი თავისთავზე და ისე მიასრიალებდა ველოსიპედს, აქეთ-იქით აღარ გაუხედია.

— ბიჭო, გიორგი, შენ ხარ, კაცო! შემოესმა უცებ ქუჩის მოსახვევში მხიარული ხმა. გიორგიმ ფაიხედა და პირზე ღიმი არ მოსვლია, მხოლოდ ველოსიპედი გააჩერა და ჩამოხტა.

— რა დაგემართა, რას დაღვრემილხარ, ვეღარ მიცანი, კაცო?!—გაუმეორა კითხვა თოთხმეტი წლის ბიჭმა და გიორგის წინ გადაეღობა.

— გამარჯობა, ნიკო! ძლივს ოდნავ გაიღიმა გიორგიმ და ხელი გაუწოდა.

— რა ამბავია, თავპირი რას ჩამოგტეხია, რისთვის ჩამოსულხარ სოფლიდან? გიორგიმ მზერა ღიმილით თავი გაიქნია.

— კაცო, ჩვენი მასწავლებელი, გახსოვს, ქართულს რომ გვასწავლიდა... ჰო და ის ამოყმაღდ ძლიერ ავად არის. ფილტვების ანთება ჰქონია და თურმე სულფიდინი ყოფილა მისი მხსნელი. ამას ყური რომ მოვკარ, თავპირისმტვრეევთ ჩამოვირბინე, მაგრამ ურეცეპტოდ არ მომცეს.

— არიქა, ბიჭო, ჩვენ გვაქვს, მე მოგცემ, ოღონდ ცხვირი ეგრე ნუ ჩამოგიშვია.

— ვაი, შენი ჭირიმე, არიქა, მიშველე რამე!

— ჰო, ჰო, მამაჩემი იყო ავად, ეგ წამალი რომ არ მიგვეშველებინა, ხელიდან გამოგვეცლებოდა. რამდენიმე ფხენილი კიდევ დაგვრჩა.

— ოღონდ კი ჩქარა მოიტანე და.—აი ფულიც...—ბიჭმა უბისაკენ ხელი წაიღო.

— რას ლაპარაკობ, ბიჭო, ოღონდ კი მორჩეს და ფული რად მინდა?! შეუტია ნიკომ და შინ სწრაფად გაიქცა.

გიორგის თვალები უბერწყინავდნენ. ამხანაგმა რომ ცოტა ხნის შემდეგ თეთრ ქაღალდში გახვეული წამალი გადასცა, გიორგი მღელვარებით მოეხვია და აკოცა.

— თუ კაცი ვარ, გადაგიხდი, მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამ!.. მაპატიე, ძლიერ მეჩქარება... აფორიაქდა ისევ გიორგი, თავის ველოსიპედს სწრაფად მოახტა და გაფრინა.

* * *

თითქოს ფრთები შეესხა, თითქოს შავარდენი ყოფილიყოს—ისე იოლად მიჰქროდა გიორგი. სიხარულით მუხლებიც და მკლავებიც ტკივილი მთლად დაავიწყდა. ნიავი გულში ჩაჰქროდა, გიორგის სახარულს ელერსებოდა. ირგვლივ მთა და ველი ულიმოდა, ხის კენწეროები თავებს უკრავდნენ და ბედნიერებას გრძნობდა გიორგი, რომ მასწავლებელს გადაარჩენდა. მზე ჯერ მაღალზე იყო, როცა ბიჭი სოფელში შეიჭრა.

გაიარა შარაგზა, მარცხნივ შეუხვია და, დანგრეული კოშკის იქით მასწავლებლის სახლის მიდამოს რომ თვალი მოჰკრა, ვულში ეკალივით რაღაც ვაეყარა: მის კარმიდამოზე მოწაფეები ჯგუფ-ჯგუფად ფუსფუსებდნენ. ეზოს კარებიდან ვიღაც გამოვარდა და ზევით გაიქცა.

— ეიმე თუ დამიგვიანდა!.. გული ჩასწყდა გიორგის, მუხლების მოღუნება იგრძნო, მაგრამ მაინც ძალას ატანს თავს, პედალს აჭერს ფეხებს. აგერ თავისი კლასის გოგონები დაინახა. ერთმა მთაგანმა თვალებთან ცხვირსახოცი მიიტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეაიმე, საყვარელო ილია... წამოიგმინა ბიჭმა და ველოსიპედი უფრო გაიქანა.

— არიქა, გიორგი, გიორგი მოდის... — ძოესმა შეჩოჩქოლებული ბავშვების ხმა. ჯგუფიდან მაღალი ტანის ბიჭი გამოიჭრა და გიორგისაკენ გაეშურა.

— რა ქენი ბიჭო, მოიტანე?—შეშფოთებული ხმით შეეკითხა შაქრო და ძირს ჩამომხტარ ბიჭს თვისი ველოსიპედი ჩამოართვა.

— რა ამბავია, ბიჭო, რას შეკრებილხართ, როგორ არის?—გულის ძგერით ჰკითხა გიორგიმ და თვალებში მიაშტერდა.

— ტუდად არის, ძლივს აბრუნებენ. მაგრამ რაკი მოუსწარ, იქნებ მართლა ეშველოს რამე. —

გიორგიმ შვებით ამოისუნთქა და ამხანაგისათვის ყური აღარ უთხოვებია, ეზო გაირბინა და თვალის დახამხამებაზე აივანზე გაჩნდა. აივანზე რამდენიმე მასწავლებელი დაღვრემილი იდგა და ჩურჩულით რაღაცას ლაპარაკობდა. ამ დროს კარი გაიღო და ექიმი გამოვიდა. გიორგი მასთან მივიდა.

— აი, მასწავლებელო... ექიმო—სულფიდინი მოვიტანე—ქაქანით უთხრა გიორგიმ და წამალი ხელში მიაგება.

—: ოჰ, შენ აგაშენა ღმერთმა, ყოჩაღ ბიჭუნი, ყოჩაღ...—სწრაფად სთქვა ექიმმა, წამალი ჩამოართვა და ოთახში შებრუნდა.

* * *

დაღამდა. საფეხ მთვარე ამოსულიყო და მიყუჩებულ სოფელს ოქროს ვარაყში ალივლივებდა, გიორგის კლასის ერთი ჯგუფი ავადმყოფი მასწავლებლის სახლის შორიახლო, დანგრეულ კომთან ლიკლიკა წყაროს შემოსხდომოდა და ტაბილად მღეროდა.

მაგრამ მათ შორის ყველაზე ბედნიერად გიორგი ჰგრძნობდა თავს, რომელსაც იმ დღიდან მეტსახელად მზეწვიას ნაცვლად სულინაური უწოდეს.

მხიარული ჰასანა

(ალმოსავლური ზღაპარი)

ოდესღაც ბაღდადში მეფობდა მეფე ჰარუნ ალ რაშიდი. მეფეს ერთი ჩვეულება ჰქონდა: ტანისამოსს გამოიცვლიდა და ისე დადიოდა, რათა გაეგო, თუ რა ხდებოდა მის სატახტო ქალაქში. ერთ სადამოს დერვიშის ტანისამოსში გამოწყობილი მეფე მივარდნილ ქუჩით მიდიოდა, რომ ღარიბული ოთახიდან სიმღერა და საკრავის ხმა მოესმა. გაჩერდა, ყური დაუგდო, დაინტერესდა და ოთახში შევიდა. შევიდა და ნახა: ცეცხლის წინ სახლის პატრონი და დამკვრელები სხედან—ღარიბულ ვახშამს შეექცევიან, უკრავენ, მღერიან და მხიარულობენ.

— მშვიდობა თქვენ, მხიარულო ადამიანებო, მოგესალმებათ დერვიში და ქედს იხრის მასპინძლის წინაშე.

— კეთილი იყოს შენი მოსვლა, დერვიშო, მობრძანდი, ერთად ეჭამოთ ღვთის მოცემული პური, ერთად ვიმხიარულოთ, — სთხოვა მასპინძელმა. დერვიშიც გვერდით მოისვეს და ლხინი განაგრძეს. შუაღამისას მასპინძელმა დამკვრელებს გასამრჯელო გადაუხადა და გაისტუმრა. როცა დამკვრელები წავიდნენ, დერვიში სახლის პატრონს შეეკითხა:

— რა გქვია, მეგობარო?

— ჰასანი.

— რა ხელობისა ხარ, ძმაო ჰასან, რამდენს შოულობ, რომ ასე, ლხინში ატარებ შენს ცხოვრებას?

ლხინს დიდი ფული არ უნდა,—უპასუხა მასპინძელმა. სულ უმნიშვნელო ქონებასაც შეუძლია კაცი მხიარულად ამყოფოს. მე ერთი ფინაჩი ვარ, წუღას ვაკერებ, დღეში რაღაც გროშებს ვაკეთებ, საღამოს მოგაქცევ, ერთ ნაწილს საცხოვრებელს ვახმარ, მეორეს კი—ეს ამ დამკვრელებს, შენ რომ ნახე. დავსხდებით ხოლმე და ვმხიარულობთ. თუ ღმერთმაც შენისთანა პატრონსანი სტუმარი გამოგვგზავნა, მით უკეთესი.

— გამოულეველი იყოს შენი მხიარულება, ჰასან ჩემო, მაგრამ, თუ შენ ეს პატარა შემოსავალიც დაგეკარგა, მაშინ რა უნდა ჰქნა?

— რად უნდა, დამეკარგოს?

— მაგალითად, ხელმწიფეა და ხელმწიფე, ზოგი ბრაზიანია, ერთიც ვნახოთ, ბრძანა ფინაჩობა აიკრძალოსო.

— ეჰ, მეფესაც დარდი შემოლევია, რომ ფინაჩებს გამოდევნოს... ან რა დაუშავეს მას ფინაჩებმა. თუ მაგგვარი რამ მოხდა, მაშინ ვიფიქრებ, ახლა კი დავიძინოთ, დერვიშო. ღმერთი მოწყალეა, ლხინის მოყვარულს ლხინი არ მოაკლდება. საქმეს როგორც დაიჭერ, ისე წაგიგავ.

— კარგი, ღმერთმაც ჰქნას, რომ მასე იყოს,—დალოცა დერვიშმა და დაიძინეს.

დილაადრიან დერვიში წავიდა. მისი წასვლის შემდეგ ბაღდადის ქუჩები და ქოედნები მაცნეებით მოიფინა, რომლებმაც ხმამაღლა ყვირილით ამცნეს ხალხს, რომ მეფის ბრძანებაა ფინაჩების დუქნები უნდა დაიკეტოსო, დღეიდან არავის არა აქვს უფლება ამ ხელობას მისდიოსო. ამ ბრძანების დამრღვევთ თავი მოეკვეთებათო.

საწყალ ჰასანსაც სადგისი წაართვეს, თავში უთაქეს, ვიწრო დუქნიდან გარეთ გააგდეს და დარაბები მიუკეტეს.

მეორე ღამესაც დერვიშის ტანისამოსში გამოწყობილი ჰარუნ ალ რაშიდი ქალაქში გავიდა. კვლავ იმ ქუჩით გაიარა, სადაც მხიარული ჰასანა ცხოვრობდა. კვლავ სიმღერა და საკრავის ხმა მოესმა. სახლში შევიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, სალამი დერვიშს, სალამი, მობრძანდი, შენი ადგილი დაიკავე. დასხდნენ, ჭამეს, სვეს, დაუკრეს, იმღერეს, შუადამემდე იმხიარულეს. შუადამისას დამკვრელებმა თავიანთი გასამრჯელო მიიღეს და წავიდნენ. დარჩნენ მასპინძელი და სტუმარი.

— იცი რა მოხდა, დერვიშო?

— რა მოხდა?

— სწორედ ის, რაც შენ წუხელ იწინასწარმეტყველე, დღეს მეფემ ბრძანება გამოსცა—ჩვენი ხელობა აკრძალა.

— რას ამბობ?—გაიკვირვა სტუმარმა, მაშ ფული საიდან იშოვე, რომ ამ საღამოსაც ლხინი მოგიწყია.

— ერთი თიხის კოკა ვიშოვე, ახლა წყალს ვყიდი, რასაც დღიურად ვშოულობ ორად ვყოფ, ერთ ნაწილს საცხოვრებლად, მეორეს დამკვრელებს ვაძლევ და კვლავ ვქეიფობ.

— მეფემ წყლის გაყიდვაც რომ აკრძალოს, მერე რას აპირებ?

— განა მეფეს რაიმე ზიანს ვაყენებთ წყლის გაყიდვით, რომ აგვიკრძალოს? მერე რაღა დღეიდანვე ვიდარდო მაგაზე. როცა აკრძალავს, მაშინ ვიფიქრებ, თუ რას ვიზამ. ნუ გეშინია, მეგობარო, არასდროს არ შემომაკლდება ლუკმაპური და ეროვნული ბიბლიოთეკა კუთხე, რომ იქ ვიმხიარულო.

— გამოულეველი იყოს მხიარულება შენს ოჯახში,—დალოცა დერვიშმა და გაშორდა.

დილაადრიან მაცნეთა ყვირილმა აიკლო ბოელი ბაღდადი. მეფე ჰარუნ ალ რაშიდმა ბრძანაო, რომ წყალი ღვთისაა და დღეიდან არავის უფლება არა აქვს ფულზე გაყიდოსო. ყველა წყლის გამყიდველს ტიკეები უნდა დაეფხრიწოს და კოკები დაელეწოსო.

წყალზე მიმავალ ღარიბ ჰასანსაც კოკა მიულეწეს და ხელცარიელი გაისტუმრეს.

მეორე საღამოს მეფემ კვლავ დერვიშის ტანისამოსი ჩაიცვა და ქალაქში გავიდა. ისევ მიუახლოვდა მხიარულ ჰასანას სახლს, სადაც კვლავ მხიარულობდნენ. სახლში შეავიდა.

— აა, დერვიშს ვახლავართ, მობრძანდი, მობრძანდი, დაჯექ შენს ადგილას, ვიქეიფოთ—დღე გავიგრძელოთ, ღამე შევიმოკლოთ, ვიმხიარულოთ, მწუხარებას მხიარულება სჯობს.

— ცხადია, მხიარულება სჯობს, სულ ერთია, ყველა დავიხოცებით. ვისაც შეუძ-

ლია, იმხიარულოს,—წარმოსთქვა დერვიშმა და ჰასანას მიუჯდა.

შუაღამისას მომღერლებმა თავიანთი გასამრჯელო მიიღეს და წავიდნენ. დარჩნენ დერვიში და მასპინძელი.

— ძმაო ჰასან, დღეს ერთი ამბავი გავიგე, ამბობენ მეფემ წყლის გაყიდვა აკრძალოო, მართალია?

— მაშ, მაშ, მართალია, ყველას წყლის ჭურჭელი დაგვიმტვრიეს. შენ ნამდვილი გულთმისანი ყოფილხარ, ჩემო ძმაო, რასაც იტყვი, მეორე დღესვე ახდება.

— მაშ როგორ მოხდა, რომ შენ ისევ ქეიფობ. ფული საიდან იშოვე?

— ნეტავ კაცს ფულის მეტი არაფერი აკლდეს. ფულის შოვნა ადვილია. წავედი, ერთ მოხელესთან მოკამამგრიდ დავდექ-დღიურად ცოტა გასამრჯელოს მაძლევს. მომაქვს, ერთ ნაწილს საცხოვრებლად ვიტოვებ, მეორეს დამკვრელებს ვაძლევ და ლხინს განვაგრძობ. საქმე ადამიანის გულია, ჩემო კარგო.

— ჩემმა მზემ ღირს, რომ მაგ გულის პატრონი მეფის კარისკაცი იყო,—უთხრა დერვიშმა.

— ეჰ, დერვიშო, შენი ყველა ნათქვამი სრულდება, ახლა ეს შენი სიტყვაც, რომ ახდეს?

— რატომ არ შეიძლება, ამ ქვეყნად არაფერია შეუძლებელი,—უპასუხა დერვიშმა და გაშორდა.

დილაადრიან მეფის მოხელეებმა ჰასანას ღარიბული სახლის კარებზე მიუკაკუნეს.

— აქ ცხოვრობს ლხინის მოყვარული ჰასანა?

— მე ვარ,—უპასუხა გაოცებულმა ჰასანამ.

— წამოგვყევი, მეფის ბრძანებაა.

ჰასანა პირდაპირ სასახლეში მიიყვანეს. აცნობეს, რომ მას მეფემ კარისკაცის თანამდებობა მისცა, კარისკაცის ტანისამოსი ჩააცვეს, გვერდზეც ხმალი ჩამოჰკიდეს და სასახლის ერთ-ერთ შესასვლელთან დააყენეს. მთელ დღეს ჰასანა უსაქმოდ იდგა იმ შესასვლელთან. საღამოს, როცა დაბნელდა, ხელმარჯვე სახლში (ბაისტუმრეს, წადი, დილაზე მოხვალ შენს ადგილას დადგებიო.

ღამით კვლავ დერვიშის ტანისამოსი ჩაიცვა ჰარუნ ალ რაშიდმა და ქალაქში გავიდა. იარა და ჰასანის სახლს მიადგა. ფანჯარი დაუგდო. განცვიფრებულმა კვლავ სიმღერა და საკრავის ხმა მოისმინა — ჰასანა კვლავ ქეიფობდა. სახლში შევიდა.

— დერვიშო, დერვიშო, შენი ოჯახი აშენდეს, მოდი, მოდი, შენი გულშინდელი ნათქვამიც ახდა. მეფემ სასახლეში თანამდებობა ჩამაბარა.

— რას ამბობ, კაცო?

— ღმერთის გეფიცები!

— მაშ ბევრ ფულს მოგცემდა.

— არა, რის ფული, ერთი გროში არ მოუციათ, ხელმარჯვე გამომისტუმრეს.

— აბა ფული საიდან იშოვე, რომ კვლავ ქეიფობ?

— დაჯე, გეტყვი, თუ საიდან. გვერდზე ერთი ხმალი ჩამომკიდეს. სახლში რომ ვბრუნდებოდი, ვიფიქრე, მე ხომ კაცის მკვლელი არა ვარ მეთქი, ავდექი და ხმლის პირი გავყიდე, ფოლადის ნაცვლად ფიცრისა გავაკეთებინე, ქარქაშში ჩავდე და სახლში მოველი. მოველი და ნაშოვნი ფულით ლხინი გავმართე. კარგი მიქნია, არა, დერვიშო?

— ხა... ხა... ხა...—გადიხარხარა დერვიშმა. კარგია, ძალიან კარგი გიქნია, ჰასან, მაგრამ ვაითუ ხვალ მეფემ გიბრძანა ბორიტმოქმედს თავი წააძვერეო, მაშინ რასა იქ?

— ერთხელ ტკბილი სიტყვა გამაგონე, შე ბეღბორიტო,—გაბრაზდა ჰასანა.—რასაც იტყვი, ყველაფერი ახდება ხოლმე, არ შეგიძლია ერთი ხერიანი რამე მითხრა?...

ჰასანა ძალიან დაღონდა. შიშმა შეიპყრო, მთელი ღამე თეთრად გაათენა.

და მართლაც მეორე დღეს მეფემ ჰასანას დაუძახა და მთელი სასახლის წინ სახალხოდ უბრძანა თავი მოეკვეთა ერთი ბორიტმოქმედისათვის...

— იძრე ხმალი და თავი მოკვეთე ამ ბორიტმოქმედს.

— დიდხანს იდეგრძელე დიდო ხელმწიფევ,—უპასუხა შეშინებულმა ჰასანამ,— მე ჩემს დღეში კაცისათვის თავი არ მომიჭრია, არ შემიძლია, შენს სასახლეში ბევრი გყავს გამოცდილი კაცი, სხვას უბრძანე, ამან მოსჭრას.

— მე შენ გიბრძანებ,—გაცხარდა მეფე,

—თუ ერთი წუთისაც დააყოვნებ, თვითონ შენ წაგაწყვეტ მაგ თავს. ამოიღე ხმალი...

ამ სიტყვის პასუხად გაწბილებული ჰასანა ბოროტმოქმედს მიუახლოვდა, ხელები გაშალა და ღმერთს შეევედრა:

— ღმერთო დიდებულო, მართალსაც და დამნაშავესაც შენ არჩევ. თუ ეს კაცი დამ-



ნაშავეა, ძალა შემმატე, რომ ერთის დაკვრით თავი წავაწყვიტო, ხოლო თუ მართალია, ფიცრად აქციე ჩემი ხმლის პირი.

სთქვა და იძრო ხმალი... ფიცრისა.

ამ სასწაულმა მეფის ამალა გააოცა. ჰარუნ ალ რაშიდმა კი გულიანად გადიხარხარა და საიდუმლოება გამოამეღავნა, შეკრებილთ ყველაფერი უამბო. მეფის მოხელეებმა ბევრი იცინეს და ბევრი ხოტბა შეასხეს როგორც მხიარულების მოყვარულ ჰასანას, ისე მეფეს. იმ უიღბლო ბოროტმოქმედმაც კი გაიცინა, რომელიც დაჩოქილი და კისერგაწვდილი ხმლის დარტყმას უცდიდა. მეფემ ბოროტმოქმედს სიცოცხლე შეუნარჩუნა. ჰასანა კი მთელ სამეფოში თავის ყველაზე საყვარელ კაცად გამოაცხადა და კარგი თანამდებობაც უბოძა, რომ მუდამ იმუშაოს, უნაკლოდ და მხიარულად იცხოვროს და სხვებსაც ასწავლოს ამ ქვეყნად მხიარული ცხოვრება.

სომხურიდან სთარგმნა

ლ. ასტვაცატუროვმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ სემიჩასნი

ალექსი ხომიჩი

ინდამოელეა

მიმდინარე წლის ნოემბერში ჩვენმა სპორტსმენებმა საბჭოთა სპორტის ისტორიაში კიდევ ერთი შესანიშნავი ფურცელი ჩააწერეს: ეს იყო სსრ კავშირის ჩემპიონი მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის გამოსვლები ინგლისში.

4 მატჩი ინგლისისა და შოტლანდიის გუნდებთან დამთავრდა საერთო ანგარიშით 19:9 საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ. ორი მოგება, ორი ფრე—აუცილებელი დინამოელთა სასპორტო ტურნეა შედეგი.

და ეს გამარჯვება მიღწეულია დიდ ბრიტანეთში — ფეხბურთის სამშობლოში. იქ, ისე როგორც შოტლანდიაში, ეს თამაში ცნობილია უკვე რამდენიმე საუკუნეა და ინგლისელ-შოტლანდიელები ტყავის ბურთის უბადლო ოსტატები არიან.

ინგლისისა და კონტინენტალური ევროპის გუნდების შეხვედრა მუდამ ინგლისელთა გამარჯვებით მთავრდებოდა. 1931 წლიდან მოკიდებული ყოველწლიურად ევროპის ერთ-ერთი გუნდი თამაშობდა ინგლისის ნაკრებთან, რომელიც თანმიმდევრობით ამარცხებდა ავსტრიის, საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებს. ამ შეხვედრებში ინგლისელებმა მოწინააღმდეგის კარში 31 ბურთი გაიტანეს, თავისაში კი მხოლოდ 12 მიიღეს. 1938 წელს ევროპისა და ინგლისის ნაკრები გუნდების შეხვედრაც უკანასკნელის გამარჯვებით (4:2) დამთავრდა. ამრიგად, ინგლისელები მსოფლიოს უძლიერეს ფეხბურთელებად ითვლებიან.

ყოველი ინგლისელი მოთამაშე შესანიშნავად არის დაუფლებული რბენას, ხტომას, ბურთის სწრაფ გაჩერებასა და გადაცემას. ისინი ვირტუოზულად თამაშობენ თავით და ყოველგვარ მდგომარეობიდან განსაცვიფრებელი სიზუსტით ურტყამენ კარში. ინგლისელი ფეხბურთელები წარმატებით იყენებენ „თამაშგარე“ (ოფსაიტის“) წესს: წინ მიდიან და უკან დარჩენილ მოწინააღმდეგეს „თამაშგარე“ მდგომარეობაში აყენებენ.

ინგლისელი მსაჯები უნაკლოდ ატარებენ მატჩებს. ისინი სასტიკად ეპყრობიან წესის დარღვევებს, მაგრამ არასოდეს არ ირღვევენ უტაქტობას, ხელს არ უშლიან თამაშის დინამიურობასა და სიმძაფრეს.

მოსკოველებთან შეხვედრამდე რამდენიმე კვირით ადრე ინგლისური გაზეთები სწერდნენ, რომ საეჭვოა რუსებმა საერთოდ ფეხბურთის თამაში იცოდნენო. მაგრამ პირველივე მატჩის შემდეგ ეჭვი განცვიფრებამ შეცვალა, ხოლო განცვიფრება აღტაცებამ და გაზეთები უკვე ასეთ სათაურებს ბეჭდავენ: „რუსები უძლიერესი ფეხბურთელები არიან მსოფლიოში“, „რუსები ისე ადვილად ჰყრიან კარში ბურთებს, როგორც კალათში ფორთოხლებს“, „ვფიქრობთ, რომ ინგლისში არ მოიპოვება გუნდი, რომელიც შესძლებს მოსკოვის

„ჩელსის“ გოლკიპერი თავის კართან
სფრთები გადახტეულია „კომსომოლსკაია პრავდა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვსევოლოდ რადიკორსკი

ვსევოლოდ ბობროვი

„დინამოს“ დამარცხებას“...

13 ნოემბერს—„დინამო“-„ჩელსის“ შეხვედრის დროს — მილიონობით საბჭოთა ადამიანი რადიომიმღებებთან გაფაციცებით უსმენდა ვადიმ სინიავსკის გადმოცემას ლონდონიდან და მწვავედ განიცდიდა თამაშის ყოველ მომენტს... ლონდონის სტადიონი ისე იყო გაჭედილი, რომ ნემსი არსად ჩავარდებოდა; მაყურებლები სტადიონის ირგვლივ მდებარე სახლების სახურავებზეც კი ისხდნენ...

3 : 3. ასეთი ანგარიშით დამთავრდა დინამოელთა შეხვედრა „ჩელსისთან“ — ინგლისის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან, რომლის თავდამსხმელებს მეთაურობდა ცნობილი ფეხბურთელი ტომი ლაუტონი.

„დინამოს“ პირველი გამარჯვება აღინიშნა ანგარიშით 10 : 1! ეს მარცხი განიცადა „კარდიფ-სიტიმ“, რომელსაც ინგლისის პირველობის გათამაშებაში მხოლოდ ერთი წაგება ჰქონდა.

1945 წლის 21 ნოემბერი ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა. ამ დღეს „დინამო“ ეთამაშა მსოფლიოში სახელგანთქმულ გუნდს „არსენალს“, რომელიც ინგლისური ფეხბურთის, მისი მაღალი დონის განსახიერებაა. მაგრამ „არსენალის“ სახელით გამოსული გუნდი სინამდვილეში ინგლისის ნაკრებს წარმოადგენდა, რადგან მასში 7 საუკეთესო მოთამაშე სხვა გუნდებიდან იყო. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ინგლისელებს სურდათ რადაც უნდა დასჯდომოდათ დაემარცხებინათ „დინამო“ და ამით ეხსნათ ინგლისური ფეხბურთის სახელი და დიდება. ამაო იყო მათი ცდა: „არსენალი“ სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა სტენლი მეტიუზმაც კი ვერ იხსნა — გაიმარჯვა მოსკოვმა ანგარიშით 4 : 3.

უაღრესად დაძაბული და საინტერესო იყო „დინამოს“ უკანასკნელი მატჩი შოტლანდიაში. იგი ეთამაშებოდა „გლაზგოს რეინჯერსს“, რომელიც „არსენალზე“ ძლიერია.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 2 : 2.

ასეთ ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ მიხეილ იაკუშინი (გუნდის მწვრთნელი), მიხეილ სემიჩასნი (გუნდის კაპიტანი), ალექსი ხომინი (მეკარე), ივანე სტანკევიჩი, ვსევოლოდ რადიკორსკი, ლეონიდ სოლოვიოვი, ვსევოლოდ ბლინკოვი, ევგენი არხანგელსკი, ვასილ კარაევი, კონსტანტინე ბესყოვი, ვსევოლოდ ბობროვი, სერგი სოლოვიოვი და სხვ.

„დინამოს“ ცალკეულმა ფეხბურთელებმა ოსტატური თამაშით ინგლისელთა ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურეს.



თამაშის მომენტი „ჩელსის“ კართან.

ფოტოსურათებიდან

ელენე პაპლაძე

ნახატები ვ. პეტროფახი და ირ. რაზმაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ნიშნავს სიტყვა „პიონერი“?

პიონერი უცხო სიტყვაა და ნიშნავს პირველს, მოწინავეს, ნოვატორს, გზის გამკაფავს, ინიციატორს.

უძველეს დროში, უცხოეთის არმიებში პიონერებს უწოდებდნენ სპეციალურ ტექნიკურ ნაწილებს, რომელთა ამოცანას შეადგენდა წინსვლა და გზის გაკაფვა ჯარისკაცთვის, იმ მიზნით, რომ უზრუნველეყოთ მეომრების დაუბრკოლებელი სვლა.

პიონერები უწოდეს იმ ევროპელებს, რომლებიც პირველად გადასახლდნენ ჩრდილო ამერიკაში. ეს გაბედული ადამიანები არ მოერიდნენ გაჭირვებასა და სიძნელეებს, რაც მათ ელოდებოდათ წინ იმ უდაბურ ადგილებში, სადაც ადამიანს არასოდეს არ უცხოვრია.

შემდგომში პიონერებს უწოდებდნენ იმ ადამიანებს, რომლებიც იყვნენ ახალი საქმის, ახალი მიმართულების წამომწყებნი მეცნიერების, ტექნიკის ან ხელოვნების ამა თუ იმ დარგში.

ჩვენს საბჭოთა ქვეყანაში ბევრნი არიან დიდი და ახალი საქმის წამომწყებნი: გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი ი. მიჩურინი პიონერია მცენარეთა ჰიბრიდიზაციის საქმეში. პაპანინელებს სამართლიანად უწოდებენ ჩრდილო პოლუსის პიონერებს. ალექსი სტახანოვი პიონერია შრომის ახალი მეთოდებისა, რითაც მან არაჩვეულებრივად გაზარდა შრომისნაყოფიერება.

„პიონერებს უწოდებენ მეცნიერების ბევრ გამოჩენილ მუშაკს: ლუი პასტერს— ბაქტერიოლოგიის ფუძემდებელს, კიურის— რადიუმის აღმოჩენს, დოკუჩაევს, რომელმაც, გამოიკვლია რა რუსეთის ნიადაგი, გზა გაუკაფა ახალ მეცნიერებას—გეოქიმიას. პიონერი შეიძლება ეწოდოს კარლ მარქსს, რომელმაც კაცობრიობის მთელი ისტორია ახალი სხივით გაანათა და მთელი მსოფლიოს მშრომელ ხალხს უჩვენა ერთადერთი სწორი გზა თავისუფლებისაკენ. ვლადიმერ ლენინი პირველია, რომელიც ძუძათა კლასს გაბედულად გაუძღვა მარქსის ნაჩვენები გზით, ამიტომ მასაც შეიძლება ეწოდოს პიონერი“ (მაქსიმ გორკი).

კარლ მარქსი, ფრიდრიხ ენგელსი, ვლადიმერ ლენინი და იოსებ სტალინი არიან კომუნიზმის დიდი პიონერები.

პიონერი შეიძლება ეწოდოს აგრეთვე მთელს მრავალმილიონიან გმირ საბჭოთა ხალხს, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აშენებს ახალს, მსოფლიოში უმაგალითო თავისუფალ ცხოვრებას.

პიონერი—ეს საპატიო სახელი ეწოდა ჩვენს ნორჩ თაობას იმიტომ, რომ ამ თაობიდან იზრდებიან ახალი ცხოვრების მამაცი, გაბედული, მოწინავე მშენებელი, საბჭოთა საშობლოს პატრიოტები, მისი გმირი დამცველები.

ყოველ პიონერს ღრმად უნდა ჰქონდეს შეგნებული, თუ რაოდენ საპატიოა პიონერული ორგანიზაციის წევრობა, ნორჩი ლენინელის სახელის ტარება. ყოველ პიონერს უნდა ესმოდეს, რომ ეს სახელი მას ავალდებულებს იყოს მოწინავე სწავლასა და ყოფაქცევაში, იყოს თავაზიანი, თავმდაბალი, ყველგან და ყოველთვის მაგალითის მიმცემი სხვებისათვის. პიონერი მოვალეა გასნაკუთრებული პატივისცემით და მოკრძალებით მოეპყროს მშობლებს, მას-

ᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ, ᲣᲤᲠᲝᲡᲚᲔᲑᲘ. ᲛᲧᲝᲡ ᲨᲠᲛᲔᲑᲘᲡᲛᲧᲐᲠᲘ, ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲔᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲬᲐᲮᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲞᲐᲢᲘᲖᲘᲗ ᲔᲞᲐᲧᲠᲝᲑᲝᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲚᲔᲡ ᲐᲧᲔᲠᲔᲑᲓᲔᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲘᲜᲢᲘᲠᲔᲡᲣᲚᲘ. ᲛᲮᲝᲚᲝᲚᲓ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲨᲠᲛᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲛᲐᲯᲐ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲛᲪᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲘᲗᲣᲚᲘᲗᲘ ᲛᲝᲛᲭᲚᲐᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲜᲘᲠᲩᲘ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲚᲐᲖᲐᲠᲘ ᲛᲝᲡᲚᲘᲡ-ᲫᲔ „ᲯᲐᲒᲐᲜᲐᲕᲘᲩᲘᲡ ᲗᲥᲕᲐ:

„ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲡᲐᲠᲐᲓᲐᲓᲔᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲑᲘᲭᲘ, ᲐᲜ ᲡᲐᲠᲐᲓᲐᲓᲔᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ ᲠᲝᲓᲘᲐ. ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲛᲔᲠᲓᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲗᲜᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝᲗ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲘ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲐᲠᲝᲜᲘ ᲛᲣᲨᲠᲘᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ, ᲐᲜ ᲘᲯᲔᲓᲔᲗ ᲐᲥ ᲤᲝᲠᲛᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ, ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲧᲚᲔᲡᲐᲮᲔᲕᲘᲗ. ᲗᲕᲘᲗᲘᲗᲔᲣᲚᲛᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲗᲐᲜᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲙᲘᲗᲮᲝᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲘᲡ: ᲛᲨᲕᲔᲓ ᲮᲐᲠᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲒᲘᲪᲘᲜᲐᲡ ᲢᲐᲜᲯᲕᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲬᲘᲠᲕᲔᲑᲐ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ? ᲛᲔ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐ ᲑᲝᲚᲛᲔᲢᲘ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲝᲗᲐᲗ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ Კ. ᲞᲘ. (ᲑᲐ) ᲓᲐ „ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲚᲯᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲝᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲓᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ—ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲝᲠᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲘᲢᲧᲣᲒᲜᲘ: — „ᲛᲨᲕᲔᲓ ᲕᲐᲠ!“ ᲜᲘᲠᲩᲘᲗᲐ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲓᲒᲔᲡᲢᲪᲘᲪᲣᲚ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗ ᲣᲡᲛᲘᲡᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ“.

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲧᲔᲚᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲧᲔᲚᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘᲡ ᲐᲢᲐᲠᲑᲔᲡ. ᲡᲐᲛᲘ ᲑᲝᲚᲛᲔ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲧᲔᲚᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘᲡᲐ ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲝᲜᲘᲡ—ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲡ, ᲙᲝᲛᲯᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲛᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲜᲘᲠᲩᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝᲡ.

„ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲒᲔᲗᲣᲠ: ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲧᲔᲚᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲐᲠᲗᲐᲜ ᲐᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ. ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ

ᲧᲔᲚᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘᲡ ᲐᲡᲐᲛᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲗᲐᲡᲐᲛᲑᲘᲗ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲗᲐ ᲡᲘᲡᲚᲔᲚᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲬᲔᲚᲔᲜᲘᲚᲘ. ᲐᲗᲐᲡᲐᲛᲑᲘᲗ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲗᲐ ᲩᲐᲛᲝᲐᲮᲠᲩᲘᲚ, ᲓᲐᲮᲕᲠᲢᲔᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲛᲐᲕᲚᲔᲑᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐ. ᲐᲗᲐᲡᲐᲛᲑᲘᲗ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲗᲐ ᲩᲐᲐᲪᲚᲔᲡ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲡᲐᲞᲧᲠᲝᲑᲘᲚᲔᲔᲑᲘ! ᲛᲐᲨ, ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲠᲝᲓ ᲐᲢᲐᲠᲘᲗ ᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲧᲔᲚᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘ, ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ ᲒᲔᲞᲘᲠᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲛᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ „ᲓᲠᲝᲨᲘᲡ“ (Ლ. Მ. ᲯᲐᲯᲐᲜᲘᲫᲔ).

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲧᲔᲚᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘᲡ ᲐᲢᲐᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ: ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ, ᲡᲐᲡᲚᲨᲘ, ᲥᲣᲩᲐᲨᲘ.

ᲜᲝᲠᲩᲘ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲥᲔᲠᲓᲝ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲡ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲧᲔᲚᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘᲡᲐ, ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲢᲐᲠᲝᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲓᲝ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ. ᲡᲐᲧᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲗᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲒᲠ ᲐᲛᲐᲓᲛᲐᲓ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲜᲝᲠᲩᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲓᲝ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ. ᲛᲘᲡᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲐ: ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲮᲣᲗᲘᲛᲘᲐᲜᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲔᲜᲐ. ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡ ᲠᲔᲓᲘᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲖᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲚᲘᲐ ᲜᲐᲛᲑᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲣᲠᲐ—ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲔᲛᲑᲚᲔᲛᲐ. ᲥᲕᲔᲕᲝᲜ ᲒᲐᲓᲐᲯᲐᲠᲣᲚᲘᲐ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲘᲗ: „ᲛᲖᲐᲓ ᲕᲐᲠ!“.

ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲡᲘᲡ ᲖᲝᲛᲐ ᲝᲠ ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲣᲓᲠᲘᲡ.

ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲚᲣᲢᲘ



ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡ, ᲘᲛ ᲓᲦᲔᲓᲐᲜ, ᲠᲝᲓᲘᲡᲐᲪ ᲘᲡ ᲓᲐᲡᲓᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲘᲛᲝ ᲐᲦᲝᲛᲩᲛᲘᲡ ᲠᲐᲖᲛᲘᲣᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ, ᲒᲐᲘᲙᲔᲗᲔᲑᲓᲐ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲧᲔᲚᲡᲐᲮᲕᲔᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲩᲐᲠᲘᲠᲘᲪᲮᲚᲐᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲛᲝᲡᲐ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ, — ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲚᲣᲢᲘ, ᲐᲜᲣ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲚᲝᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡ, ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲔᲚᲛᲫᲦᲕᲔᲚᲡᲗᲐ, ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ, ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ, ᲡᲐᲛᲮᲘᲔᲠᲝ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ. ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲔᲓᲜᲔ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲰᲘᲛᲜᲘᲡ ᲨᲣᲠᲘᲡᲣᲚᲘᲗᲘᲡᲐ. ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲔᲓᲜᲔ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲒᲠᲔᲑᲓᲜᲗᲐ ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲑᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲒᲝᲚᲔᲣᲛᲘᲡ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერული სალამის დროს მარჯვენა ხელის ხუთი თითი გაშლილი, შემქიდროებული სახით აღიმართება საკუთარ თავს ზევით, რაც ნიშნავს—

— პიონერი ყველაფერზე მაღლა აყენებს დედამიწის ხუთი ნაწილის მშრომელთა საქმეს.

მწყობრში პიონერულ სალამს აძლევენ მხოლოდ რგოლის ხელმძღვანელები, შტაბის უფროსები და რაზმის ხელმძღვანელები. როგორი პიონერები ამ დროს სმენაზე დგანან.

პიონერული რაზმის ატრიბუტები

ყოველ პიონერულ რაზმს გარდა რაზმის დროშისა და რგოლების ალმებისა აქვს საყვირი და დოლი.



პიონერული რაზმი ვალდებულია გამოჰყოს წარჩინებული, ავტორიტეტული პიონერებისაგან — მედროშე, მედოლე და საყვირის დამკვრელი.

პიონერი, რომელსაც ჩაბარებული აქვს საყვირი, მოვალეა იცოდეს საყვირით სხვადასხვა ნიშნის მიცემა, მაგალითად: „ყურადღება“, „შეკრება“, „განგაში“, „დროშის აღმართვა“ და სხვა. საყვირის დამკვრელსა და მედოლეს, უპირველეს ყოვლისა, ეკალთან იცოდხენ პიონერული „სამწყობრო მარშის“ შესრულება. საყვირსა და დოლზე დაკვრა შეიძლება მხოლოდდამხოლოდ შტაბის უფროსის, ან პიონერხელმძღვანელის განკარგულებით, ან რომელიმე პიონერული ღონისძიებების მიმდინარეობის დროს.









სასურველია ყოველ რაზმს პიონერთათვის ჰქონდეს სპეციალური დგამი რაზმის დროშისა, ალმებისა და სხვა პიონერული ატრიბუტების მოსათავსებლად.

რაზმეულებისა და რაზმის შტაბები

პიონერულ რაზმში ერთიანდებიან ერთი ან პარალელური კლასის მოსწავლენი. რაზმეული კი აერთიანებს სკოლის, სამაგვიო სახლის, პიონერული ბანაკის და სამაგვიო სანატორიუმის ყველა რაზმს. პიონერულ რაზმს, გარდა რაზმის პიონერხელმძღვანელისა სათავეში უდგას რაზმის შტაბი, ხოლო რაზმეულს — უფროსი პიონერხელმძღვანელის გარდა, სათავეში უდგას რაზმეულის შტაბი.

რაზმეულის შტაბი მთელი თავისი შინაარსიანი და მრავალფეროვანი მუშაობით უნდა გახდეს აქტიური თანაშემწე უფროსი პიონერხელმძღვანელისა და თვით სკოლის დირექტორისა. ხოლო რაზმის შტაბი უნდა იყოს თანაშემწე რაზმის პიონერხელმძღვანელისა და კლასის ხელმძღვანელი მასწავლებლისა.

რაზმეულის და რაზმის შტაბებს შორის განსხვავება მათი მუშაობის მასშტაბით გამოიხატება: რაზმეულის შტაბი ხელმძღვანელობს მთლიანად სკოლის პიონერული ორგანიზაციის მუშაობას, ხოლო რაზმის შტაბი მხოლოდ ერთი პიონერული რაზმის, ე. ი. ერთი კლასის საქმიანობას.

რაზმეულისა და რაზმის შტაბი ეს არის ცენტრი პიონერთა შემოქმედებითი მუშაობისა. შტაბი უნდა იქცეს პიონერული აქტივის სკოლად, ამიტომ რაზმეულის შტაბი თავის სამუშაო გეგმაში უნდა ითვალისწინებდეს რაზმეულის პიონერული აქტივის სისტემატურ სწავლებას. შტაბი

მოვალეა ორმაგ შეასწავლოს პიონერულ აქტივს პიონერული ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები, მისი ისტორია, მისი სტრუქტურა, დაეხმაროს მათ პრაქტიკულ მუშაობაში, ასწავლოს რგოლის შეკრების, რაზმის შეკრების ჩატარების წესები, ჩაბას ისინი სპორტის სხვადასხვა სახეებში, შეასწავლოს მასობრივი სბავშვო თამაშობანი, ცეკვები, ჩაატაროს მათთან სამწყობრო მზადება, შეასწავლოს სბავშვო სიმღერები.

პიონერული აქტივის სწავლებამ რომ მეტი ნაყოფი გამოიღოს, სასურველია რაზმეულის შტაბმა გამოიყოს სამეცადინო დღეები ცალ-ცალკე რგოლის ხელმძღვანელებისათვის, რაზმის შტაბის უფროსისა და რაზმების კედლის გაზეთების რედაქციებისათვის, რადგან მათს მუშაობას ახასიათებს თავისებურებანი. ამგვარად, უნდა დაწესდეს „რგოლის ხელმძღვანელის დღე“, „რაზმის შტაბის უფროსის დღე“ და ასე შემდეგ.

ყოველ პიონერულ რაზმეულს ევალება პერიოდულად—ორ კვირაში ერთხელ მოაწყოს სამწყობრო ლაშქრობა ქუჩებში, პიონერული საყვირისა და დოლის ხმაზე. პიონერებს სამწყობრო ლაშქრობის დროს უნდა შეეძლოთ ხმაშეწყობილად იმღერონ პატრიოტული, სალაშქრო სიმღერები. ყველა სახის მასობრივი ღონისძიების ჩატარებისას პიონერები მოვალენი არიან იარონ მწკრივში, სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ პიონერული რაზმეულის შტაბი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდეს პიონერთა სამწყობრო მომზადებას და სალაშქრო სიმღერების შესწავლას.

რაზმეულის შტაბი ადგენს სამთვიან სამუშაო გეგმას და შტაბის სხდომებს იწვევს არანაკლებ ერთისა თვეში. რაზმის შტაბს აქვს ერთთვიანი სამუშაო გეგმა და შტაბის სხდომებს იწვევს არანაკლებ ორისა თვეში.

რაზმეულისა და რაზმის შტაბები გამოსცემენ ბრძანებებს. ბრძანებებები უნდა იყოს საქმიანი, სხარტი და ზუსტი. ბრძანებები უმეტესად იწერება გეგმით გათვალისწინებული რომელიმე ღონისძიების განხორციელების წინ და ეხება იმას თუ როგორ უნდა ჩატარდეს ეს ღონისძიება. ასეთი შემთხვევაში ბრძანებაში ნათლად უნდა იყოს აღნიშნული, რა ღონისძიება ტარდება, როდის, სად; რომელ რაზმს, რგოლს, ან პიონერს რა სახის კონკრეტული დავალება აქვს მიცემული და რა დროისათვის უნდა შეასრულოს ეს დავალება და სხვ. ბრძანებები ეწერება აგრეთვე საორგანიზაციო საკითხებზე. შეიძლება ბრძანებით მაღლობა გამოეცხადოს რომელიმე პიონერს, რგოლს, ან რაზმს დავალების ზუსტი და დროული შესრულებისათვის.

პიონერული რაზმეულის და მისი შტაბის უპირველეს და საპატიო ამოცანას შეადგენს დახმარება აღმოუჩინოს უფროს პიონერხელმძღვანელს, სკოლის მთელს პედაგოგიურ კოლექტივს მოსწავლეთა აკადემიური დონის ამაღლებისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ამისაკენ უნდა იყოს წარმართული რაზმეულის მთელი საქმიანობა.

პიონერული რაზმეულის, მთელი პიონერული ორგანიზაციის ამოცანაა: ყოველ პიონერს, ყოველ მოსწავლეს გაუძლიერთს ინტერესი და წყურვილი სწავლისადმი, მიაღწიოს იმსა, რომ თვითეული მათგანი ეკიდებოდეს სიყვარულით და გულმოდგინედ მასწავლელის დავალების შესრულებას; ეწაფებოდეს მეცნიერების ძირითად საფუძვლების ათვისებას.

დიდი რეცხი მწერალი, ნორჩი თაობის უანლოესი მგზნებარი მაქსიმ გორკი მიმართავდა ბავშვებს:

„საჭირო ჩაინერგოთ, ზარდოთ სიყვარული სწავლისადმი, რომ სწავლა სასიამოვნო იყოს, როგორც თამაში. გონება, შემეცნების უნარი განვითარდება ვარჯიშობით, წერთნით, ისევე, როგორც კუნთები“.

პიონერთა ინიციატივა და თვითმოქმედება

ყოველი რიგითი პიონერი უნდა იყოს აქტიური წევრი ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციისა. ის უნდა იყოს მოქმედი, ინიციატივიანი შრომისმოყვარე.

პიონერული რაზმეულის მუშაობა მაშინ ჩაიფიფლება დამაკმაყოფილებლად, თუ ის ახერხებს ჩაბას მრავალფეროვან და საინტერესო პიონერულ საქმიანობაში ყოველი რიგითი პიონერი. პიონერი ყოველდღე, ყოველ საათს უნდა გრძნობდეს, რომ მას კოლექტივის მიერ მიცემული აქვს განსაზღვრული დავალებანი და რომ ის პასუხისმგებელია კოლექტივის წინაშე ამ დავალებათა შესრულებისათვის.

პიონერორგანიზაციაში ყველა სახის საშუალო თვით პიონერთა ძალებით უნდა სრულდებოდეს და არა პიონერხელმძღვანელებისა და მასწავლებლების მიერ. თვითონ პიონერებმა სწერონ რაზმისა და რგოლის დღიურები, თვით პიონერებმა შეადგინონ ალბომები, თვითონ დაამზადონ საჭირო

ხელაღწყობები და ნიკეთები ამა თუ იმ თამაშის ან სხვა ღონისძიების ჩასატარებლად, გაადაწერონ და გააფორმონ კედლის გაზეთი, თვითონ პიონერებმა მორთონ და გააფორმონ საკუთარი გემოვნებით პიონერული ოთახი,—ყოველივე ამით ისინი შეეჩვევიან თვითმოქმედებას, დამოუკიდებელ მუშაობას.

ფრაქციის ორგანიზაცია რაზმეულში

პიონერული რაზმეულის შტაბი უნდა ცდილობდეს დახმარება გაუწიოს სკოლას კლასგარეშე მუშაობის უკეთ დაყენების საქმეში. მან ფართოდ უნდა ჩააბას პიონერმოსწავლეები სკოლის საგნობრივ, ბავშვთა თვითშემოქმედებითს წრეებში, რადგან აქ, წრეებში ეჩვევიან ბავშვები დამოუკიდებელს, შემოქმედებითს შრომას. აქ, წრეებში აფართოებენ და აღრმავებენ ისინი კლასში, გაკვეთილებზე მიღებულ ცოდნას. აქ, წრეებში იძენენ კლასგარეშე ლიტერატურის, მხატვრული და მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის კითხვის ჩვევას.

ყოველ პიონერს უნდა ახსოვდეს: რაც უფრო ნაყოფიერი და შინაარსიანი იქნება ამ წრეების მუშაობა, მით უფრო მაღალი იქნება მოსწავლეთა მომზადების დონე სკოლაში.

პიონერს უნდა უყვარდეს შრომა. მას უნდა შეეძლოს საოჯახო საქმეების შესრულება: ოთახის დალაგება, ეზოს დასუფთავება, შეშის დაპობა და დახერხვა, უმცროსი და-ძმის მოვლა-პატრონობა, სადილის მომზადება, გარეცხვა, დაკერება, წინდის დაკვმსვა, გაუთოვება. პიონერს უნდა შეეძლოს შეაკეთოს დაზიანებული მერხი სკოლაში, მოაწყოს და გააფორმოს პიონერული ოთახი, დაგავოს სკოლის ეზო და სხვ.

საკავშირო ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი პიონერებს ურჩევს თავისი ხელით გაკეთებული საჩუქრები უძღვნან მშობლებს, უმცროს და-ძმას, წითელი არმიის მებრძოლებს სადღესასწაულო დღეებში: პირველ მაისს, 8 მარტს, წითელი არმიის დღეს. კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი აკალებს პიონერულ ორგანიზაციებს პერიოდულად მოაწყონ პიონერთა ნამუშევრების გამოფენა. ამ ვალდებულებათა შესრულებას პიონერული ორგანიზაცია შესძლებს იმ შემთხვევაში, თუ ის სათანადო მუშაობას გაშლის პიონერთა შორის შრომითი ჩვევების დასანერგავად, თუ ის რაზმებში ჩამოაყალიბებს ტექნიკური და სხვა ხასიათის წრეებს: საავიაციოს, საამკინძაოს, სამაკეტოს, ნორჩნატურალისტთა, ხელოვნურკილობის, ხატვის, ქარგვის, ჭრა-კერვისა და სხვებს და უზრუნველყოფს ამ წრეებში ნაყოფიერ მუშაობას.

პიონერი უნდა იყოს ჯანმრთელი, ამტანი, უშიშარი, მარჯვე, ამიტომ ის მოვალეა ყოველდღიურად ატარებდეს დილის გამამხნევებელ ვარჯიშს და საერთოდ ეტანებოდეს სპორტის რომელიმე სახეს, სისტემატურად იწრთობოდეს და აკაჟებდეს თავის სხეულს, ეწაფებოდეს საბრძოლო საქმის ძირითადი საფუძვლების შესწავლას. ამ მიზნით, პიონერულ ორგანიზაციებში იქმნება ტანმოვარჯიშეთა, ფრენბურთელთა, კალათბურთელთა, მორზისტთა, მსროლელთა, ხელყუმბარების მტყორცნელთა, მზვერავთა და სხვა სახის წრეები.

ამ მრავალფეროვან წრეებში შემოქმედებითი მუშაობის გაშლა საშუალებას მისცემს პიონერებს გამოავლინონ და განავითარონ თავისი ნიჭი და უნარი მეცნიერების, ტექნიკის თუ ხელოვნების სხვადასხვა დარგში.

პიონერებო, მუდამ გახსოვდეთ დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის თქვენდამი მოწოდების სიტყვები:

„თუ თქვენ გაიმაგრებთ კუნთებს, ითამაშებთ, იმღერებთ, ყოველი მიმართულებით განავითარებთ თქვენს ტალანტებს, გამომგონებლობამდეც კი, შეისწავლით მეცნიერებას, ლიტერატურას, ყველა ამით გამსჭვალავთ თქვენს სისხლსა და ძარღვებს, თქვენგან გამოვლენ ნამდვილი მებრძოლები, მედგარი ბოლშევიკები.

გაუმარჯოს პიონერებს, რომელთაც უყვართ შრომა და სწავლა, რომელთაც აქვთ თამაშის, სიმღერისა და სწავლის უნარი“.



უხილავი სამყარო

(წერილი მეოთხე*)

ატომური მოძღვრებისადმი ინტერესი განსაკუთრებით ძლიერდება აღორძინების ეპოქაში—XIV-XVI საუკუნეების დიდი საზოგადოებრივი პოლიტიკური და კულტურული მოძრაობის ხანაში, რომელიც იტალიაში დაიწყო სავაჭრო ქალაქებსა და ფეოდალებს შორის ბრძოლის პროცესში. ეს ეპოქა აღინიშნა დიდი აღმოჩენებითა და გამოგონებებით, ინტერესის გაღვიძებით ძველი საბერძნეთისა და რომის ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი.

პირველი, ვინც საჯაროდ გამოვიდა მოძღვრებით ატომების შესახებ, იყო ჯორდანო ბრუნო (1548-1600)—შესანიშნავი მოაზროვნე, ღრმა მეცნიერი, მგზნებარე პოეტი და თავდადებული მებრძოლი ბეშმარიტებისათვის, რომელიც კათოლიკური ეკლესიის მესვეურებმა კოცონზე დასწვეს.

ატომისტურ შეხედულებებს განავითარებდნენ გამოჩენილი ფრანგი მოაზროვნე და მეცნიერი რენე დეკარტი (1596-1660), ფრანგი ფილოსოფოსი-მატერიალისტი, ასტრონომი და ბუნებისმეტყველი პიერ გასსენდი (1592-1655) და სხვები.

ატომისტურ შეხედულებებს იზიარებდა და ქადაგებდა XVII საუკუნის უდიდესი ფიზიკოსი და მათემატიკოსი—ინგლისელი მეცნიერი ისაკ ნიუტონი (1642-1727), რომელიც შეეცადა ატომისტურ შეხედულებათა საფუძველზე აეხსნა ჰაერის დრეკადი თვისებები.

მეთვრამეტე საუკუნეში გენიალური რუსი მეცნიერი მიხეილ ვასილის-ძე ლომონოსოვი (1711-1765) თანმიმდევრულად სარგებლობს ატომისა და მოლეკულის ცნებით და თვლის, რომ ქიმიური და ფიზიკური მოვლენების ახსნა შეუძლებელია ნივთიერებათა შემადგენელი უმცირესი ნაწილაკების—ატომებისა და მოლეკულების თვისებებისა და მათი ურთიერთქმედების შეუსწავლელადო.

მაგრამ სანამ ბუნებისმეტყველთა, უმთავრესად ქიმიკოსების ყურადღება მიმართული იყო ნივთიერებათა თვისებითი შესწავლისაკენ, ატომური შეხედულებები ვერ პოულობდნენ პრაქტიკულ გამოყენებას. ატომური თეორია მეცნიერულ თეორიად

მიხეილ ლომონოსოვი

გადაიქცა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ნივთიერებათა შესწავლაში დაინერგა რაოდენობითი კვლევის მეთოდები, ე. ი. მას შემდეგ, რაც მეცნიერებმა დაიწყეს სასწორისა და სხვა საზომი ხელსაწყოების ხმარება.

ჩვეულებრივად ქიმიაში კვლევის რაოდენობითი მეთოდების დანერგვას ფრანგ მეცნიერს ლავუაზიეს მიაწერენ, მაგრამ აქაც პირველობა ეკუთვნის დიდ რუს მეცნიერს მიხეილ ლომონოსოვს, რომელმაც ლავუაზიაზე 50 წლით ადრე დაიწყო სასწორით სარგებლობა ქიმიური გამოკვლევებისათვის.

ამ რაოდენობითმა გამოკვლევებმა ნიადაგი მოამზადეს მეცნიერული ატომური თეორიის შექმნისათვის. ამ მეცნიერული ატომისტიკის ფუძემდებლად სამართლიანად ითვლება უბრალო ფეიქრის შვილი—დიდი ინგლისელი მეცნიერი ჯონ დალტონი (1766-1844).

ჯონ დალტონის ატომური თეორიის შექმნას წინ უძღოდა ცდების გზით მთელ რიგ მეტად საინტერესო კანონზომიერებათა (ბოილ-მარიოტის, გეი-ლუსაკის, პრუს და სხვ.) აღმოჩენა, რომელთა შინაგანი აზრი ახსნა ჯონ დალტონმა ატომური თეორიის საფუძველზე.

თავის მსჯელობაში დალტონი შემდეგი მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა:

— ყველა ნივთიერება შესდგება ატომებისაგან.

— ერთი და იგივე ელემენტის (მარტივი ნივთიერების) ატომები ერთნაირია და კერძოდ ერთნაირი მასა აქვთ, ამგვარად ატომის მასა ყოველი ცალკე ნივთიერების დამახასიათებელი სიდიდეა.

* დასაწყისი იხ. ჟურნ. „პიონერი“ № 6.

— ქიმიური ნაერთები მიიღება სხვადასხვა ელემენტების ატომების კომბინაციით.

თითქოს ამ მოსაზრებებში არაფერია განსაკუთრებული. მაგრამ მხოლოდ ერთის შეხედვით. ამ უბრალო მოსაზრებებმა ბევრი დაბლართული საკითხი ახსნა:

თუ დავუშვებთ, რომ ატომების მასა ქიმიური რეაქციების დროს არ იცვლება, მაშინ გასაგებია ნივთიერების მარადისობის კანონი.

თუ დავუშვებთ, რომ ერთი და იგივე ნივთიერების მოლეკულები იგივე არიან, ე. ი. წარმოადგენენ ერთი და იგივე ატომების ერთნაირ კომბინაციებს (მაგალითად, გაზჟანგბადის ყველა მოლეკული შესდგება ჟანგბადის ორი ატომისაგან), — აქედან გამომდინარეობს შემადგენლობის მუდმივობის კანონი.

თუ დავუშვებთ, რომ ნაერთებში, რომლებიც ერთი და იგივე ელემენტებისაგან შესდგება, რაოდენობა ერთი ელემენტის ატომებისა, რომელიც მეორე ელემენტის ატომებზე მოდის ამ ნაერთების მოლეკულებში, ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც მცირე მთელი რიცხვები, — აუცილებლობით მივალთ ჯერად შეფარდებათა კანონამდე. ასევე გასაგებად აიხსნება ატომური წარმოდგენების საფუძველზე გაზური კანონები.

დალტონისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ატომის წონის ცოდნას, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ ატომების არაჩვეულებრივი სიმცირის გამო ამას ვერ მოახერხებდა და ამიტომ შეეცადა განესაზღვრა მათი შეფარდებითი წონა, ე. ი. გამოერკვია, რამდენად მეტს იწონის ერთი ქიმიური ელემენტის ატომი მეორესთან შედარებით.

დალტონის დროს საკმაოდ კარგად იყო გამორკვეული წყლის შემადგენლობა. იცოდნენ, რომ ერთი გირვანქა წყლიდან მიიღება $^1/_8$ გირვანქა წყალბადი და $^7/_8$ გირვანქა ჟანგბადი. დალტონმა მარტივულად დაასკვნა, რომ წყალბადის ატომი ყველაზე მსუბუქი ატომია. მისი წონა ერთეულად ჩასთვალა. ამასთან ერთად ის თვლიდა, რომ წყლის მოლეკული შესდგება ერთ ატომ წყალბადისა და ერთ ატომ ჟანგბადისაგან. გამოდიოდა, რომ ჟანგბადის ატომი შვიდჯერ უფრო მძიმეა, ვიდრე წყალბადის ატომი.

ამაკე გზით ის შეეცადა გამოერკვია სხვა ელემენტთა ატომების წონა.

დალტონის მიერ მიღებული ატომური წონები, რასაკვირველია, მეტწილად არ იყო სწორი. ერთი იმიტომ, რომ ანალიზის მაშინდელი მეთოდები მეტად უხეში იყო თანამედროვეებთან შედარებით, ნაერთების პროცენტული შემადგენლობა მეტ ნაწილად ზუსტად არ იყო გამორკვეული. გარდა ამისა, არ იყო სწორი დალტონის აზრი, თითქოს, მაგალითად, წყლის მოლეკული შესდგება ერთ ატომ წყალბადისა და ერთ ატომ ჟანგბადისაგან. სინამდვილეში წყლის მოლეკული შესდგება ორ ატომ წყალბადისა და ერთ ატომ ჟანგბადისაგან და უკანასკნელის ატომური წონა არის არა შვიდი, არამედ 16.

მიუხედავად ამისა, დალტონის თეორია დიდ მოვლენას წარმოადგენდა. მას ბევრი მომხრი და მოწინააღმდეგე გაუჩნდა. კამათმა და ბრძოლამ, რომელიც თეორიის გარშემო გაიმართა მის დასამტკიცებლად

ჯონ დალტონი

და უარსაყოფად, მთელ რიგ გამოჩენილ ქიმიკოსთა (ბერცელიუსი, დიუმა, გმელინი, ავოგადრო, კანნიცარო და სხვ.) მიერ ჩატარებულმა ღრავალრიცხოვანმა ცდებმა ძლიერ შეუწყვეს ხელი უამრავი ქიმიური ნაერთის შემადგენლობის შესწავლას, დიდძალი ქიმიური ფაქტების ახსნას, ქიმიური ანალიზის მეთოდების სრულყოფას, ჩვენი ქიმიური ცოდნის გამდიდრებას.

ატომი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე განყენებული მსჯელობის საგანს წარმოადგენდა, მტკიცედ შემოვიდა ქიმიაში და ქიმიური წარმოდგენების ქვაკუთხედი გახდა.

თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დალტონის თეორიას მეცნიერებისათვის, ამას ნათლად ამტკიცებს ფრიდრიხ ენგელსის აზრი ამ თეორიის შესახებ. „ქიმიაში, —ამბობს იგი,—ახალი ეპოქა იწყება ატომისტიკით, ამიტომ ლავუაზიე კი არა, დალტონი არის თანამედროვე ქიმიის მამა“.

მზეზე ფიქრები

ძრავალი საუკუნის მანძილზე მეცნიერები იკვლევდნენ და აწარმოებდნენ ამ განცალკევებულ „ოჯახს“ სივრცეში, რომელსაც მზის სისტემა ეწოდება.

ძველად ფიქრობდნენ, რომ დედამიწას გარს უვლიან მზე, მთვარე, პლანეტები. დედამიწა საძყაროს ცენტრად იყო მიჩნეული. სამყაროს აგებულების შესახებ ასეთი მცდარი შეხედულება შეიცვალა მათემატიკური მტკიცებით გამართლებული, სწორი შეხედულებით. თანამედროვე მეცნიერების გაგებით, სამყაროს ცენტრში მზე იმყოფება. მზე, ეს უზარმაზარი, გავარვარებული, სოლაური ციური სხეული, წარმოადგენს მზის ოჯახის დედაბოძს. მზის გარშემო თითქმის წრიული გზით მოძრაობენ დიდი, საშუალო და პატარა ზომის ძრავალი სხეულები. გავეცნოთ მოკლედ მზიდან მანძილის ზრდის მიმდევრობით ამ ოჯახის წევრებს.

მერკური

მზესთან ყველაზე ახლოს, მისგან საშუალოდ 58 მილიონ კილომეტრზე მოიქცევა პლანეტა მერკური (ქართულად ერმი, ოტარიდი), რომელიც მზის გარშემო ერთხელ შემორბენას ანდომებს 88 ჩვენს დღე-ღამეს. ამ პლანეტის დიამეტრი რამდენადმე აღემატება მთვარისას და ეტოლება 5.000 კილომეტრს. მერკური ცნობილი დიდ პლანეტათა შორის ყველაზე მცირე ტანისაა, ყველაზე მეტ სითბოსა და სინათლის ენერგიას იღებს მზისაგან და ყველაზე მეტი (საშუალოდ 49 კილომეტრი სეკუნდში) სისწრაფით მიჰქრის სივრცეში. დამტკიცებული, რომ ეს მყარი და ბნელი სხეული, რომელიც განთებულია მხოლოდ მზის სხივებით, ბრუნავს თავის ღერძის გარშემო ისეთი სიჩქარით, რომ ერთხელ შემობრუნებას ანდომებს 88 ჩვენს დღე-ღამეს და ერთდროულად ამდენივე დროს მზის გარშემო ერთხელ შემოვლას. ამიტომ ის ყოველთვის ერთი მხრითაა მოქცეული მზისაკენ, რის შედეგად მის ერთ ნახევარსფეროზე ნიადაგ მცხუნვარე დღეა, მეორეზე კი — ნიადაგ აუტანელი ცივი ღამე. ეს ის პლანეტაა, რომელზედაც დღისა და ღამის ხანგრძლივობა განუსაზღვრელია.

ვენერა

მზიდან 108 მილიონ კილომეტრზე თითქმის წრიული გზით მის გარშემო მოიქცევა ჩვენი ცისკარი—პლანეტა ვენერა (ქართულად ესპეროზი). მისი წელიწადი (ეს ის დროა საზოგადოდ, რომელიც საჭიროა მზის გარშემო პლანეტის ერთხელ შემოვლისათვის) ეტოლება 225 ჩვენს დღე-ღამეს. თეთრად მოელვარე, კაშკაშა და უახლოესი მეზობელი ჩვენი დედამიწისა, პლანეტა ვენერა თავისი მასით და მოცულობით თითქმის ჩვენი დედამიწის ტოლია. მისი დღის, ან ღამის ხანგრძლივობა საბოლოოდ გამორკვეული არაა. ფიქრობენ, რომ მისი ერთი დღე-ღამე დაახლოებით ჩვენს 30 დღე-ღამეს ეფარდება. ეს პლანეტა საოდუმლოებით მოცულია. დიდი ხანია იწვევს მეცნიერების ინტერესს, მაგრამ პლანეტაზე გარშემოკრული ღრუბლები საშუალებას არ გვაძლევენ დარწმუნებით გადავაკვრათ ესა თუ ის საკითხი.

დედამიწა

დედამიწა წარმოადგენს ერთ-ერთ მცირე სხეულს სამყაროში. ეს პლანეტა 24 საათის განმავლობაში აფიცხებს მზეს ხან ერთს და ხან მეორე გვერდს. დედამიწის ბურთს გამჭვირვალე ზეწარი ჰფარავს. ეს ატმოსფეროა, რომელიც მასთან გაუყრელად მოძრაობს სივრცეში. დედამიწა დიდი სიჩქარით (29,5 კილომეტრი სეკუნდში) მოძრაობს მზის გარშემო, რომელსაც დაშორებულია 150 მილიონი კილომეტრით. დედამიწა 365 $^{1}/_{4}$ დღე-ღამეს ანდომებს მზის გარშემო ერთხელ მოქცევას. დედამიწის სფერო, რომლის დიამეტრი 12.757

კილომეტრია, იწონის ექვსი ათას ტრილიონ (6000.000000.000000.000000) ტონას.

პლანეტა ვენერაზე რომ გადავიდეთ და იქიდან შემოვხედოთ დედამიწას, შაშინ იგი, ეს დედამიწა მოგვეჩვენება ბრწყინვალე ვარსკვლავად; მისი სიკაშკაშე ექვსჯერ მეტი იქნება ვენერას სიკაშკაშეზე, ხოლო ყველასათვის ცნობილი ჩვენი მთვარე გამოჩნდება, როგორც კაშკაშა, საკმაოდ მოზრდილი თანამგზავრი (დედამიწასა და მთვარეს შორის მანძილი 400.000 კილომეტრით განისაზღვრება, ხოლო მთვარის მოცულობა 50-ჯერ ნაკლებია დედამიწისაზე). დედამიწა მოგვეჩვენება ღია ცისფერი, მთვარე კი — მოყვითალო და ეს კიდევ უფრო მეტად ლამაზ სანახაობად აქცევს დედამიწასა და მთვარეს. საგულისხმოა ის, რომ პლანეტა ვენერიდან, ჩვენი დედამიწის ამ უახლესი მეზობლიდან, დღეს ცნობილი ყველაზე დიდი ასტრონომიული ხელსაწყოებითაც კი შეუძლებელი გახდებოდა შეგვემჩნია დედამიწაზე რაიმე კვალი გონიერი ორგანიზმის არსებობისა.

მარსი

მარსი (ქართულად მარიხი), რომელიც ესოდენ დიდ ინტერესს იწვევს, მზიდან 228 მილიონ კილომეტრის დაცილებით მოძრაობს. მარსის ერთი წელი დაახლოებით დედამიწის ორი წლის ხანგრძლივობისაა, ხოლო მისი დღე-ღამე მცირედით უფრო ხანგრძლივია ჩვენს დღე-ღამეზე. ეს პლანეტა პატარა ტანისაა, მისი მოცულობა დედამიწის მოცულობის $^1/_6$ არ აღემატება, მასა კი დედამიწის მასის $^1/_9$ ეტოლება.

მარსის ზედაპირის თავისებურობის გამო ადამიანის თვალს ის ცეცხლოვან ვარსკვლავად ეჩვენება. მას გარს უვლის, ჩვენს მთვარესთან შედარებით, მცირე ტანის ორი მთვარე; მათ ფობოსი და დეიმოსი (შიში და საშინელება) ეწოდებათ!

საბოლოოდ გამორკვეულ იქნა, რომ ის ატმოსფერო, რომელიც გარს ერტყმის პლანეტას, რამდენადმე ჩამოგავს დედამიწისას. მარსზე არის სითბო, წყალი, წლის ცვლადსხვა დრო და ყველა ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ პლანეტაზე არსებობს სიცოცხლე, ხოლო თუ როგორი სახისაა ეს სიცოცხლე დღემდე გამოურკვეველია.

ასტეროიდები.

მარსსა და მზიდან უფრო დაცილებულ იუპიტერს შორის სივრცეში მზის გარს სრბიან უამრავი მცირე პლანეტები — ასტეროიდები. ყველაზე დიდი ტანის მათ შორის ცერერაა. მისი დიამეტრი 770 კილომეტრს არ აღემატება. ასტეროიდების ნაწილის მოძრაობენ ქვეშლრის პლანეტებ-ს, რომელთა დიამეტრი 10 კილომეტრს არ აღემატება. ასტეროიდები, ისე როგორც დიდი პლანეტები, სითბოსა და სინათლის ენერგიას მზისაგან იღებენ.

იუპიტერი

იუპიტერი (ქართულად მუშთარი) გიგანტური სხეულია, მზიდან 778 მილიონ კილომეტრის დაშორებით ძრაობს. მისი წლის ხანგრძლივობა თითქმის ჩვენს 12 წელს ტოლია, ეს პლანეტა იმდენად დიდია, რომ მისი დიამეტრი დედამიწისაზე 11-ჯერ მეტია. მოცულობა დედამიწისას 1.300-ჯერ აღემატება, ხოლო მასა 317-ჯერ მეტია დედამიწისაზე, სიმკვრივე კი 4-ჯერ ნაკლები. იუპიტერი შეფუთვნილია გაციებული გაზებით. ეს უზარმაზარი სხეული თავისი მძლავრი მიმზიდველობის ძალით იქერს და თავის გარს მოაქცევს 11 თანამგზავრს — მთვარეს.


ნეპტუნი
ურანული
ზესტუნი
ეროვნული
ეროვნული
ეროვნული

სატურნი

სატურნი (ქართულად ზუალი), რომელიც სიდიდით რამდენადმე ჩამორჩება იუპიტერს, მოძრაობს 9½-ჯერ უფრო შორს მზიდან, ვიდრე ჩვენი დედამიწა. მისი ერთი წელიწადი ჩვენს 29½ წლის ხანგრძლივობისაა. სატურნი წარმოადგენს განსაცვიფრებელ სანახაობას. მისი დანახვა შეიძლება ნებისმიერ მცირე ასტრონომიული ჭოგრთი. ასტრონომიულ ჭოგრიში სჩანს, რომ პლანეტა გარსმოცულია მატერიალური ბრტყელი რგოლით. გამოკვლევამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ სატურნის ეს ბეჭდისებური რგოლი შესდგება მტვერისა და ლოდების სიმრავლისაგან და ეს სიმრავლე პლანეტას, მათ ამ ცენტრალურ სხეულს, გარს უვლიან კეპლერის ცნობილი კანონის წესით. გარდა ამისა, სატურნს გარს მოიქცევა 9 მთვარე.

ურანოსი

ურანოსი მოძრაობს 19-ჯერ შორს მზიდან, ვიდრე დედამიწა. ერთხელ შემოვლას მზის გარს ანდომებს ჩვენს 84 წელიწადს. მას გარს უვლის და თან მიჰყვება სიერცეში ოთხი თანამგზავრი — მთვარე. ეს პლანეტა არც თუ ისე დიდია, მისი დიამეტრი მხოლოდ 4-ჯერ აღემატება დედამიწისას, მოცულობა კი — 70-ჯერ. ურანოსის ბრუნვის ღერძი დაწოლილია, ის თითქმის ემთხვევა პლანეტის ძრაობის გზის სიბრტყეს, რის გამოც მის პოლუსებზე 42 წელი გამუდმებით დღეა, ან გამუდმებით ღამე. ურანოსი თავის ღერძის გარს სხვა ცნობილი პლანეტების ბრუნვის საწინააღმდეგო მიმართულებით ბრუნავს. ეს საკვირველი თვისებურება არც ერთ სხვა პლანეტას არ ახასიათებს მზის სისტემაში.

ნეპტუნი

ნეპტუნი ძრაობს 30-ჯერ უფრო შორს, ვიდრე დედამიწა და მასზე ერთი წელი დაახლოებით 165 ჩვენი წლის ხანგრძლივობისაა. დღეს ცნობილია, რომ მას, ისე როგორც დედამიწას, თან ახლავს, მხოლოდ ერთი მთვარე. ნეპტუნის დიამეტრი 49 ათასი კილომეტრით განისაზღვრება.

პლუტონი

მზის სისტემის ამ უკანასკნელი პლანეტის აღმოჩენა წარმოადგეს ასტრონომ-სპეციალისტთა კოლექტიური მეცნიერული ფიქრის შედეგს. ეს განაპირა პლანეტა 1930 წელს იქნა აღმოჩენილი ფლაგსტაფის ობსერვატორიის მიერ, ამერიკაში. ამ პლანეტის შესახებ მეტად ცოტა რამ ვიცით. ის მზიდან 39½-ჯერ უფრო შორსაა, ვიდრე დედამიწა და მზის გარს ერთხელ შემოვლას 249 ჩვენს წელიწადს ანდომებს.

მეტეორები და კომეტები.

მზის „ოჯახში" არა მარტო დიდი პლანეტები, თანამგზავრები და ასტეროიდები შედის, არამედ უამრავი მეტეორები (ეგრეთწოდებული „მოწყვეტილი ვარსკვლავები") და კომეტები. ეს არ შეუმჩნევია მოწმენდილ ცაზე, რარიგად გაიჭროლებს ციცხლოვანი ვარსკვლავი და სადღაც დაიკარგება. მაშინ ვიტყვით „ვარსკვლავი მოწყდაო". ეს სხეულები კოსმიური სხეულების ნამსხვრევებს წარმოადგენენ, რომლებიც დედამიწის მიმზიდველობის სფეროში დიდის სიჩქარით შემოიჭრებიან ხოლმე. დედამიწის ატმოსფეროს წინაღმდეგობა გაავარვარებს, ანთებს ამ სხეულებს და ეს ჭქმნის მოწყვეტილ ვარსკვლავის შთაბეჭდილებას. დედამიწას ასეთი სხეულები ყოველდღიურად ათეულმილიონობით ეცემა, მაგრამ უმრავლესი მათგანი იმდენად მცირე ტანისაა, რომ ვერ აღწევს დედამიწის ზედაპირამდე,—ატმოსფეროს ზედაფენებში იწვის და იფერფლება.

კომეტები, ანუ „კუდიანი ვარსკვლავები" მზის სისტემის შეტად შესანიშნავ წევრებად ჩაითვლებიან. ეს სხეულები ძრავალი საუკუნის მანძილზე აოცებდნენ ადამიანს. ძრავალი მითქმა-მოთქმა და ცრუ რელიგიური წინასწარმეტყველება ეწერებოდა კომეტის ყოველ გამოჩენას. ეს ციური ტანები სრულიად გამჭვირვალენი, ვეება სიდიდის სხეულებია; ზოგიერთი მათგანის კუდის სიგრძე რამდენიმე ასეული მილიონი კილომეტრით განისაზღვრება, ხოლო მასა საოცრად მცირე აქვთ. დღემდე ცნობილი არ არის ისეთი კომეტა, რომლის მასა დედამიწის მასის ერთ მემილიონედს აღემატებოდეს. ზოგიერთი მათგანი მუდმივ წევრებს წარმოადგენენ მზის სისტემისას, ზოგნი—მხოლოდ ერთხელ შემოიჭრებიან მზის სისტემაში და შემდეგ სამუდამოდ იკარგებიან ვარსკვლავთშორის სამყაროში. ამიტომ კომეტები შეიძლება გამოჩნდნენ ციის ნებისმიერ ადგილზე. ისინი მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ შესანიშნავ საკვლევო ობიექტს წარმოადგენენ. დღეს-დღეობით ცნობილია 500-მდე კომეტა, ¾1.600-მდე ასტეროიდი და უსაზღვრო რიცხვი მეტეორთა ტანებისა. ზოგიერთ ასტრონომ-სპეციალისტის აზრით, კომეტათა რიცხვი მზის სისტემაში 100 ათასს აღემატება, ხოლო ასტეროიდთა 50-100 ათასით განისაზღვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე

პლანეტათა სისტემაში მზე ერთადერთი ციური სხეულია, რომლის უშრეტ ენერგიას ადამიანი პრაქტიკულად თავისი ინტერესებისათვის იყენებს (მხედველობაში არ ვიღებთ მთვარით გამოწვეულ ზღვის მოქცევას, რომელსაც ევროპის რამდენიმე ნავსადგური იყენებს). დედამიწაზე არსებული ყოველგვარი ენერგია (სწვავის, მდინარეთა მოძრაობის, ელექტროენერგია) და თვით სიცოცხლე დაკავშირებულია მზესთან.



მზისა და პლანეტების შედარებითი სიდიდეები.

მზის სისტემატური შესწავლა-გამოკვლევა მეცნიერებს აძლევს საშუალებას მიხვდნენ მზის მრავალფეროვან ქაოსურს მიწიერ მოვლენებთან, ეს კი იმის საწინდარია, რომ უფრო მოხერხებულად ვიყენებთ მზის ენერგიას, გამოვლენილ ენერგიას ეხერგიას, გამოვლენილ ბულს მის ყოველ ფორმაში. მზის სიდიდეზე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, ავიღოთ ყველა ცნობილ პლანეტათა მოცულობის ჯამი და დავინახავთ, რომ მზის მოცულობა 600-ჯერ მეტია მასზე. მისი მოცულობა 1.300.000-ჯერ აღემატება დედამიწისას, ხოლო მასა 745-ჯერ მეტია, ვიდრე ყველა პლანეტის მასათა ჯამი. ამრიგად, თუ ავიღებთ მთელი სისტემის მასას, ვნახავთ, რომ მისი 99,86% თავმოყრილია მზეში, ხოლო 0,14% გაბნეულია ყველა დანარჩენ სხეულში.

მზის სიმკვრივე 0,26 დედამიწის სიმკვრივის ტოლია. მზე გაზობრივი სხეულია, დაახლოებით წყლის სიმკვრივისა. ეს მისი გაზობრივობა იქიდანაც ცხადია, რომ მზის ბრუნვის დროს თავის ღერძის გარშემო მის სხვადასხვა ზონას სხვადასხვა ბრუნვითი სიჩქარე აქვს. და ბოლოს მზის ტემპერატურის გამოკვლევა იძლევა საკვირველ რიცხვებს: ზედაპირზე ტემპერატურა 6.000 გრადუსს აღწევს, ხოლო ცენტრში 40 მილიონ გრადუსს აღემატება.

ასე საოცრად გავარვარებული ციური სხეული—მზე, თავის მცირეწლოვანი პატარა-ტანიანი მრავალშვილებით მახლობელ ვარსკვლავებთან ერთად, მიჰქრის სივრცეში 270 კილომეტრის სიჩქარით სეკუნდში. (გიხსენეთ, რომ შაშხანა თოფის ტყვიის საწყისი სიჩქარე დაახლოებით ერთი კილომეტრია სეკუნდში). მთელი ეს სისტემა, როგორც ერთი მთლიანი სხეული ამ განსაცვიფრებელი სიჩქარით განუწყვეტლივ განაგრძობს გზას სამყაროში. ამიტომაც, ეს ძრაობა არ ახდენს გავლენას არც მზეზე და არც მისი პლანეტების შემოვლითს თუ ბრუნვითს ძრაობაზე. მთელი ეს სისტემა, რომლის ცენტრს წარმოადგენს მზე, სამყაროში ერთი პატარა ვარსკვლავის ადგილს იკავებს; ის იმაზე მეტი არ არის სამყაროში, რაც ერთი წვეთი წყალი ოკეანეში.

:.მითოლოგიის:. ლექსიკონი

ჰერმესი (მერკური)—ზევსისა და ტანტან ატლანტის ასულის მაიას შვილად ითვლებოდა. ბავშვობიდანვე იგი, თურმე, დიდი მოხერხებულობით, გაიძვერობით, თაღლითობითა და გამსაკუთრებული ფეხმარდობით გამოირჩეოდა.

ჰერმესი ზევსის ნება-სურვილის მაუწყებელი იყო ღმერთებისა და ადამიანებისათვის, მის დავალებათა უბადლო შემსრულებელი. საერთოდ ღმერთების მოციქულად ითვლებოდა, მათ დესპანად, ელჩად, გაქნილ დიპლომატად. იგი ითვლებოდა აგრეთვე მიცვალებულთა მეგზურად საიქიოს, შუამავლად ცოცხლებსა და მკვდრებს შორის. ამის მიხედვით ჰერმესს ეწოდებოდა აგრეთვე ψυχοπομπός (ψυχή მეგზური). მრავალი სხვა მოვალეობა ჰქონდა კიდევ ჰერმესს- იგი ვაჭრობის, მოგზაურობის, ჭეკვრმტყველების, სიზმრის, გამომგონებლობის, ხელობის, მეჯოგეობის, საძოვრების და, როგორც ფეხმარდი, რბენისა და საერთოდ გამლასტიკური ეარჯიშობათა მფარველადაც ითვლებოდა. მას მიძღვნილი ჰყავდა გრძელფეხა ფრინველი ყარაატი; იგი ჰერმესის ემბლემად ითვლებოდა.

ჰერმესის მოხერხებულობა და მაცდურობა განთქმული იყო. მან, როგორც მითოლოგია გადმოგვცემს, განსაკუთრებული მოხერხებულობით მოპპარა ღმერთ აპოლონს ხბორები ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჩვილი იყო (ალბათ ამიტომ იყო, რომ ქურდებიც კი ასახლებდნენ ჰერმესს თავის მფარველად). დავაყაკცდა თუ არა, ჰერმესს მოხერხებულობაში ბადალი არ ჰყავდა. მან ასთ�es ბუმბერაზის, მარად ფეხიანელი არგუსის მოკვლაც მოხერხებით შესძლო: ბაყბა მას მაცდური ბაასი, რითაც გამოაშტერა იგი და მისი ასივე თვალი მიაძინა, მერე მივარდა მარდად და თავი წააგდებინა. არგიფონტეს—სწრაფი, მარდი — ჰერმესის ეპითეტია, რომელიც ბერძნული სიტყვაშედგენილობით ჰერმესის მიერ არგუსის მოკვლის თქმულებასთან არის დაკავშირებული.

ᲞᲠᲐᲥᲡᲘᲢᲔᲚᲘᲡ ᲰᲔᲠᲛᲔᲡᲘ

მითოლოგიაში ᲛᲘᲗᲝᲚᲝᲒᲘᲐᲨᲘ **მოგვცემს** ᲛᲝᲒᲕᲪᲔᲛᲡ ᲛᲝᲒᲕᲪᲔᲛᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ, რომ ჰერმესმა გამოიგონა სუტკეთესო მუსიკალური საკრავი—ქნარი, რომელიც კუს გამომშრალი ჩონჩხისაგან გაკეთა და ღმერთ აპოლონს კვერთხში გაუცვალა. ეს კვერთხი, რომელსაც რომაელები კადუცეუსს უწოდებდნენ, ისეთი თვისებისა იყო, რომ ყველაფერს, რასაც შეეხებოდა, ოქროდ აქცევდა. გარდა ამისა, ისეთი ძალა ჰქონდა, რომ მტრულად განწყობილთ ერთმანეთს შეარიგებდა. კვერთხის ეს ძალა ჰერმესმა პირველად ორ გველზე გამოსცადა, რომლებიც ერთმანეთს ჩაბნდნენ. კვერთხის შეხებისას ისინი შემოეხვივნენ მას (კვერთხს) და დამშვიდდნენ. ამ კადუცეუით ჰერმესი, შემდეგში, როდესაც თავის მრავალგვარ მოვალეობათა შესრულებას შეუდგა, მიცვალებულთა სულებს მიეჩეკებოდა საიქიოს.

ჰერმესის სპეციალიური მფარველობის ქვეშ ყველაზე ჰეროლდები (მაცნე, გზირი) იყვნენ. მათ, ამ ჰეროლდებს ყოველთვის ხელთ ეპყრათ ჰერმესის ატრიბუტი კადუცეი, როგორც სიმბოლო უშიშროებისა დიდ საკაჭრო გზებზე და პიროვნების ხელუხლებლობისა სხვა ქვეყნებში ჩასვლისას. ამ ღმერთის ამორჩევამ დაღი დაასვა დიპლომატიური სამსახურის მთელ შემდგომ რეპუტაციას, რადგანაც, როგორც დაინახეთ, ჰერმესი თილისმობის, თვალთმაქცობისა და ცბიერების განსახიერება იყო. მიუხედავად მთელი თავისი პოპულარობისა, მას ნდობით მაინც არ ეკიდებოდნენ. „დიპლომატები,—ამბობს ინგლისელი დიპლომატი ჰაროლდ ნიკოლსონი,—ზშირად ნანობდნენ, რომ მათ მფარველად რომელიმე სხვა ღმერთი არ იყო შერჩეული, თუნდაც არც ისეთი ბრწყინვალე, როგორიც ჰერმესია, მაგრამ, სამაგიეროდ, მეტი ნდობის ღირსი“.

ჰერმესის პატივსაცემად გზაჯვარედინებზე, შარაგზებზე, სახლების წინ სვეტებად დასობილი იყო ჰერმები—ქვისაგან გამოთლილი ადამიანის თავის გამოსახულებანი,

რომლებიც მინრნეული იყო საკაჟრო და საერთოდ ყოველგვარი გარიგების ხელის შემწყობად.

ყოველივე ამის მიხედვით, ჰერმესს ჩვეულებრივ სახავდნენ მოხდენილ, ტანშიგარ ჭაბუკად სამეზო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი დათვის თანავარსკვლავედი

(ინგლისური ზღაპარი)

ს იყო უხსოვარ დროს,— დედამიწაზე დიდი გვალვა იდგა: ამოშრა ყველა მდინარე, ნაკადული და ტბა, გახმა ხე, ბუჩქნარი და ბალახი, წყურვილით კვდებოდა ადამიანი და პირუტყვი.

ერთხელ ღამით ერთმა პატარა გოგომ ხის სურა აიღო და ავადმყოფი დედისთვის წყლის საშოვნელად წავიდა. ვერსად ვერ იშოვნა გოგონამ წყალი, დაღლილი მინდორში ბალახზე გაწვა და ჩაეძინა. როდესაც გაეღვიძა და სურას ხელი მოჰკიდა, კიდიდან წყალი დაღვარა; სურა სავსე იყო სუფთა, ანკარა წყლით. გოგონას გაუხარდა და წყალს დაეწაფა, მაგრამ უცბად გაიფიქრა, დედისთვის აღარ მეყოფაო, სურას ხელი მოავლო და შინისაკენ გაეშურა. იგი ისე მიიჩქაროდა, რომ ვერ შეამჩნია, ფეხებში ფინა რომ ებლანდებოდა, წაიბორძიკა და სურა დაუვარდა, ფინა საბრალოდ აწკმეტტუნდა. გოგონა სურას ეცა, — ეგონა წყალი დაიღვარაო, მაგრამ არა. ის თავის ფსკერზე იდგა და წყალი სულაც არ დაღვრილა. გოგონამ გადმოისხა პატარა ტაფაზე წყალი, ფინამ სულერთიანად ასვლაპა იგი და გამხიარულდა. როდესაც გოგონამ კვლავ მოჰკიდა ხელი სურას, ნახა, რომ იგი ვერცხლისად გადაქცეულიყო.

გოგონამ წყალი შინ მიიტანა და დედას მიაწოდა. დედამ უთხრა: „ეს სულ ერთია ეკვდები, უკეთესია შენ დალიო“,—და სურა გოგონას დაუბრუნა. იმ წამსვე ვერცხლის სურა ოქროს სურად გადაიქცა. აღარ ეყო მოთმინება გოგონას და ის იყო დაეწაფა წყალს, რომ ამ დროს კარი შეაღო ვინმე მწირმა და სთხოვა წყალი. გოგონამ ნერწყვი ჩაყლაპა და სურა მწირს მიაწოდა. უეცრად სურაზე შვიდი დიდი ბრილიანტი გაჩნდა და სურიდან სუფთა, ანკარა წყალი კამარად გადმოდინდა.

შვიდი ბრილიანტი კი ზევით, სულ ზევით, ცაში ავიდა და დიდი დათვის თანავარსკვლავედად გადაიქცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინ გაიმარჯვებს?

III სერია

1. საბჭოთა კავშირში რომელი საზღვარი უფრო დიდია — სახმელეთო თუ საზღვაო?
2. დაასახელეთ ყველა ზღვა, რომელიც საბჭოთა კავშირს აკრავს.
3. საბჭოთა კავშირის ზღვებში რომელია ყველაზე დიდი და რომელი ყველაზე შვიერე?
4. დაასახელეთ საბჭოთა კავშირის ყველაზე დიდი კუნძული.
5. დაასახელეთ ორი უდიდესი ტბა დედამიწაზე.
6. დაასახელეთ უდიდესი ტბა ევროპაში.
7. სად არის ყველაზე ღრმა ტბა დედამიწაზე და რა ეწოდება მას?
8. დაასახელეთ ევროპის უდიდესი მდინარე.
9. დაასახელეთ საბჭოთა კავშირის უმაღლესი მთის მწვერვალი.
10. რომელია საბჭოთა კავშირში ყველაზე მაღალი მომქმედი ვულკანი; სად იმყოფება იგი?

* * *

I და II სერიაზე (30 კითხვაზე) პასუხები გამოგზავნეს რედაქციაში და ქულები შეაგროვეს შემდეგმა პიონერ-მოსწავლეებმა: კომუნარ გაგუამ (აბაშა)—26 ქულა, ლადო ხავთასმა (სოფელი ჭანიეთი)—27 ქულა, ჯოტო ყვანიამ (აბაშა)—26 ქულა, ჯონდო გიფრინდაშვილმა (სამტრედია)—25 ქულა.

შინაარსი

გიორგი შატბერაშვილი — ნოემბრის შვიდი თენდება (ლექსი) . . . გარეკანის მე-2 გვ.
მაყვალა მრევლიშვილი — ჩემს სამშობლოს (ლექსი) . . . . . 1 „
ვლადიმერ ზამბახიძე — ლევ ტოლსტოი (წერილი) . . . . . 2 „
როდიონ ქორქია — ორცხობილა (ნამდვილი ამბავი) . . . . . 5 „
ცქვიტი — სულინაური (მოთხრობა) . . 7 „
ოვანეს თუმანიანი — მხიარული ჰასანა (ღმერთმოსავლური ზღაპარი) . . . . . 12 „
ლეო ყორდაძე — დინამოელები ინგლისში 16 „
ელენე აგლაძე — პიონერული აქტივის დასახმარებლად (წერილი მეორე) . . 18 „
ევგენი წულაძე — უხილავი სამყარო (ატომისტიკის ისტორიიდან, წერილი მეორე) . . . . . 23 „
გიორგი თევზაძე — მზის სისტემა (საუბარი ასტრონომიულ საკითხებზე) . . . 25 „
შ. გვინჩიძე — მათოლოგიის ლექსიკონი (ჰერმესი) . . . . . 29 „
ლევ ტოლსტოი — დიდი დათვის თანამეარსკვლავედი (ინგლისური ზღაპარი) . . 31 „
ვინ გიმარჯვებს? . . . . . 32 „
გასართობი . . . . . გარეკანის მე-3 გვ.
თამარ შავერზაშვილი — პიონერული (ბარში) . . . . . გარეკანის მე-4 გვ.

გარეკანზე ამხატავს სევ. **მაისაშვილის** ნახატი **„ნოემბრის ზეიმზე“**.

სარედაქციო კოლეგია: **ი. აბაშიძე**, აკად. **ნ. ბერძენიშვილი**, **თ. გელეიშვილი** (პ/მდ. რედაქტორი), **შ. გვინჩიძე**, **ვ. ვარდიაშვილი**, პროფ. **გ. თავზიშვილი**, **ს. კეცხოველი**, **პ. მეტრეველი**, **ნ. ნაკაშიძე**.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გასართობი

სიტყვების გარდაქმნა

რაც გითხრა, შეასრულე,
თვითონ გაგიკვირდება:
ბოსტნეულს თავი წაგლეჯე —
მდინარე ადინდება.

• • •

შინაურ ცხოველს მიხედე,
ზეკით ვერ იხედება.
თავში ასო შეუცვალე —
საჯდომად გამოდგება.
ერთხელ კიდევ თუ შეუცვლი,
წავა და გავრცელდება...
მეტი ალარ შეუცვალო,
თორემ გაგიფრინდება.

შეადგინა ბ. ჭინაშვილმა.

შარადები

გაზაფხულის ყვავილია
ადრე მოსვლა იცის...
მეორე კი, მდინარეა
დიდ რუსეთის მიწის.
თუ ბიჭი ხარ, ეს ორივე
აბა გამონახე,
და მიიღებ შეერთებით
ერთ ფრინველის სახელს.

• • •

თუ კი გესმის გრამატიკა,
არ შედგება მასზე,
ქვემდებარის კითხვა არის
უსულო საგანზე.
გამოიცან და ამ კითხვას
სიტყვა მოახმარე,
რომ მიიღო საქართველოს
ერთი ტურფა მხარე.

შეადგინა მოსწავლე ივანიდან ხვინჩა.

ანდაზები

ბევრი რად უნდა დედასა,
ერთი სჯობს სახელოვანი.

• • •

ბევრი იცოდე, ცოტა ილაპარაკო
— ყმაწვილ ქალ-ვაჟის ღირსებაა.

• • •

მგელი თვითონ არ ჰყეფს,
ძაღლებს კი აყეფებს.

• • •

ას უფსკრულს ერთი სწორი ბილიკი
გადასჭრის.



ამ ნახაზზე მოცემული ნაკვთის გადაკვეთის 16 წერტილზე ისე გაანაწილეთ რიცხვები 1-დან 16-მდე, რომ რიცხვთა ჯამი უდრიდეს 34-ს როგორც ყოველი კვადრატის თვითეულ გვერდზე, ისე ყოველი კვადრატის ოთხივე წვეროზე.

შეადგინა ძ.სწავლე კოტა წერეთელმა.

არითმეტიკული ამოცანა

დასწერეთ სამი ერთნაირი ციფრით რიცხვი 10, ოთხი ციფრით—100, ხუთით—1.000.

გამოცანები

1.

მთიდან ჩამოდის მთასავით
წყალს რომ სვამს,
ბრდღვინავს ლომსავით.

2.

შიგნით ოქროა, გარეთ ვერცხლი.

3.

დღისით იმალებიან, ღამით დასეირნობენ.

4.

ზღვები არის—ცურვა არ შეიძლება,
გზები არის—მგზავრობა არ შეიძლება
მიწა არის—ხვნა არ შეიძლება.

5.

წყლის ფრინველია მთლად თეთრი ფერის,
ლამაზი, მშვიდი, არ არის ყბედი,
მხოლოდ სიკვდილის წუთებში მღერის,
უცნაურია იმისი ბედი.

3/34
761
34
ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერული

(მარში)

მუსიკა. ოთარ შაყირზაშვილისა

მარშის ტემპით:



რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 28. ტელ. 3-81-85.

უე—00916. ტირაჟი 7000. გამომც. № 3 სტამბის შეკვ. № 35
ფ. ბ. ბერიას სახელობის ჰქომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.
ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია საქ. სსრ კვების მრეწვ. სახ. კომისარიატის ლითოგრაფიაში.